

ვაი ჭკუისაგან

თარგმანი რუსულიდან - სიკო ფაშალიშვილი.

კომედია 4 მოქმედებად.

მოქმედნი:

პაველ აფანასიევიჩ ფამუსოვი სახელმწიფო საწესებულების მმართველი.

სოფია პავლოვნა მისი ქალი.

ლიზანკა მოახლე.

ალექსეი სტეპანოვიჩ მოლჩალინი ფამუსოვის მდივანი, ცხოვრობს ფამუსოვებთან.

ალექსანდერ ანდრეევიჩ ჩაცკი.

პალკოვნიკი სერგეი სერგეიჩ სკალოზუბი.

ნატალია დმიტრეივნა ახალგაზრდა გათხოვილი ქალი.

პლატონ მიხაილოვიჩი მისი ქმარი.

თავადი ტუნოუხოვსკი და კნეინა ამისი ცოლი ექვსი ქალიშვილით.

გრაფინია შვილიშვილი.

გრაფინია - ბებია.

ანტონ ანტონოვიჩ ზაგორეცკი.

მოხუცი ქალი ხლიოსტოვა ფამუსოვის ცოლისდა.

ბ-ნი ნ.

ბ.ნი დ.

რეპეტილოვი.

პეტრუშკა (მებუფეტე ფამუსოვების ოჯახში) და სცენაზე მოლაპარაკე რამდენიმე მსახური.

მრავალი სტუმარი- ყველა წრისა, მათი გამცილებელი ლაქიები და მსახურნი.

ფამუსოვის ოფიციანტები.

მოქმედება წარმოებს მოსკოვში ფამუსოვების სახლში.

მოქმედება პირველი.

გამოსვლა პირველი.

სასტუმრო ოთახი. კედელზე კიდია დიდი საათი. მარჯვნივ სოფიას საწოლ ოთახში შესასვლელი კარი.

სოფიას ოთახიდან ისმის ფორტეპიანოს და ფლეიტის ხმა, რაც შემდეგ წყდება. შუა ოთახში სავარძელში

მიწოლილ ლიზანკას სძინავს.

(დილაა. ნელ-ნელა თენდება).

ლიზანკა.

(უცებ იღვიძებს. ამოდგება. აქეთ-იქით იყურება).

თენდება უკვე! ახ, რა მალე გავიდა დამე!.. დასამინებლა დავეთხოვე
წუხელ უარი:

მეგობარს ველით ... მეთვალყურე საჭირო არი! არ დაიძინო და თვალეები ამოიღამე, სანამდისინ არ დავარდები დაბლა, სკამიდან, და , ეს კი იყო, ძლივს ჩავთვლიმე ერთი წამი და უკვე დღე არის!... ვუთხრა მათ.

(აკაკუნებს სოფიას ოთახის კარზე).

ბატონებო არ გეყურებათ? სოფია პავლოვნა, თავს დაგვატყდა უბედურება! მაგ საუბარში, აი, უკვე შემოგათენდათ! თქვენ, ალექსეი სტეპანოვიჩი, ხო მარ დაყრუვდით? მათზე შიშიც კი არ მოქმედებს! სულ არა სწუნან.

(კარს მოშორდება).

აბა რასა ჰგავს? უწვეული სტუმარი არის, იქნება მამამ შემოაღოს უეცრად კარი, ხომ შეასწრებს თვალს? მოდი ახლა და ემსახურე შეყვარებულ ქალს!

(კვლავ კარზე აკაკუნებს).

დაიშაღენით, გაათავეთ ეგ მასლაათი! რაო? რა ბრძანეთ?

ს ო ფ ი ა ს ხ მ ა .

რომელია, მითხარით საათი?

ლ ი ზ ა ნ კ ა .

ყველა ზეზეა, მთელი სახლი უკვე აშლილია.

ს ო ფ ი ა .

(თავისი ოთახიდან) მითხარ რომელი საათია?

ლ ი ზ ა ნ კ ა .

მეშვიდე, მერვე, უკვე მეცხრეა დაწყებული!

ს ო ფ ი ა .

(ოთახიდანვე) სტყუი!

ლ ი ზ ა ნ კ ა .

(კარს მოსცილდება) ო, ამური შეჩვენებული! თუმც ესმით, მაგრამ არც ერთს არ სურს რამე გაიგოს! აბა, ერთი ეს დარაბები უცებ გაიღოს!

(აღებს დარაბებს).

მოდი, საათსაც წინ გადავწევ, დავუკრავ კიდეც. თუმც ალიაქოთს დამაწვევენ! შარს გადვიკიდებ,

(ადის სკამზე საათის ისარს წინ გადასწევს. საათი რეკავს და უკრავს). მამგრამ მაინც ეს გასჭრის მგონი!

გამოსვლა მეორე.

ლიზა და ფამუსოვი.

ლიზა.

ა-ახ, ბატონი!

ფამუსოვი.

დიახ, ბატონი!

(შეაჩერებს საათის მუსიკას) ჰოი! რა ცელქი გოგო ხარ შენ საგანგებოდა გონს ვეგარ მოველ! ვამბობ, რას ჰგავს, ადამიანო! ხან ფლეიტის ხმა მესმის, ხან ჟღერს ფორტეპიანო! ვფიქრობ სოფია სისხამზე ხომ ვერ ადგებოდა?

ლიზა.

არა, ბატონო!... მე...ეს მხოლოდ სულ უცაბედად!

ფამუსოვი.

ო, დიახ, დიახ, უცაბედად! შულ უნებურად! და ნამდვილად კი-ალბათ, განზრახ, მოფიქრებულად!

(მოეხვა და ეთამაშება).

ლიზანკა.

ეშმაკი თქვენ ხართ!... ასეთი რამ შეგფერით განა?!

ფამუსოვი.

მოკრძალებული კია, მაგრამ მისი საფერი ოინბაზია, ქარაფშუტა- სხვა არაფერი!

ლიზანკა.

ხელი გამიშვით! ქარაფშუტა-ეს თქვენზე ითქმის! გონს მიდით თქვენ ხომ მოხუცი ხართ, ბებერი!

ფამუსოვი.

თითქმის!

ლიზანკა.

ჰოდა გამიშვით: უცაბედად შემოვა ვინმე! სად წავალთ მაშინ? რას იტყვიან? ვინ თქვენ და ვინ მე!

ფამუსოვი.

შემოვა? ვინა? სოფიას ხომ ჯერ ისევ სძინავს!

ლიზანკა.

მან დაწოლა ახლა ინება!

ფამუსოვი.

ახლა დაწვა დასაძინებლად? მერე წუხელი?

ლიზანკა.

კითხულობდა ის ღამე მთელი!

ფამუსოვი.

ახირებული შემოიღეს წესი და რიგი!

ლიზანკა.

ფრანგულს ხმამაღლა კითხულობს სულ მთელ ღამეს იგი!

ფამუსოვი.

უთხარი, თვალებს ნუ იტკიებს! ან კირა ყრია? მას ამდენ კითხვით-ფრანგულისგან ძილი გაჰყრია, მე კირუსული წიგნებისგან სულ მეძინება!...

ლიზანკა.

როცა ადგება მოვახსენებ, ახლა კი, ვინძლო მიბრძანდეთ, თორემ მეშინია-არ გააღვიძოთ!

ფამუსოვი.

რის გაღვიძება? შენ არა ხარ-საათს რომ მართავ და მთელ უბანზე სიმფონის რომ აგრილებ?

ლიზანკა.

(რაც შეიძლება ხმამაღლა) გეყოფათ მართლა!

ფამუსოვი.

(პირზე ხელს აფარებს) გონზე მოდი, რა გაღრიალებს, გაგიჟდი, თუ რა დაგემართა?

ლიზანკა.

მეშინია, არა მოხდეს!

ფამუსოვი.

მაინც რა?

ლიზანკა.

დროა, ბატონო, რომ იცოდეთ-არ ხართ ყმაწვილი: ქალიშვილების დილის ძილი ისეა ფრთხილი, რომ თუნდაც ოდნავ კარი შესძრა, წაიჩურჩულო, სულ ყველა ესმის!...

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ც რ უ ო ბ!

ლ ი ზ ა ნ კ ა.

ე ი, ლ ი ზ ა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

(აჩქარებით) ტ ს ს!..

(ოთახიდან თითის წვერებზე გაიჰარება).

ლ ი ზ ა ნ კ ა (მარტო).

წავიდა... ახ, შორს ბატონთა ჭვრეტაც! მათგან სულ საფრთხე გველის ფარული, ღმერთო, გვაშორე სხვა დარდზე მეტად, ბატონთა რისხვაც და სიყვარულიც!...

გამოსვლა მესამე.

ლიზა, სოფია-შანდლით ხელში. მის უკან მოლჩალინი.

ს ო ფ ი ა.

რა მოხდა, ლიზა? რა დაგეცა, რა ხმაურია?

ლ ი ზ ა ნ კ ა.

დიახ, სწორედ უცნაურია!... რაღა თქმა უნდა, განშორება თქვენ გეძნელებათ: დილამდე სხედხართ და ეს თურმე არ კმარებულ!

ს ო ფ ი ა.

ახ, მართლაც გათენებულა! (სანთელს აქრობს) შუქიც, ნაღველიც... რა სწრაფია ღამეთა დენა!

ლ ი ზ ა ნ კ ა.

ინალვლეთ თქვენა, მაგრამ, იცოდეთ, აღარ ძალმიძს მეტისა თმენა: აქ შემოვიდა მამათქვენი... მთლად დავდნი ვგონებ, თავს ვეველებოდი, არ ვიცი რა არ მოვიგონე! თქვენ რაღას დგახართ, ბატონო, მანდ? თქვენ გზას მიხედეთ! გამოეთხოვეთ... გულს ჯერ ასე არ უძგერია! დახედეთ საათს, ფანჯარაში გადაიხედეთ: ქუჩები ხალხით გაჭედილა, უკვე გვიან! შინ კი ხომ ხედავთ, ფუსფუსია, წმენდენ და ჰგვიან.

ს ო ფ ი ა.

ბედნიერები დროს და საათს არ უცქერიან!

ლ ი ზ ა ნ კ ა.

თქვენი ნებაა, ნუ უცქერთ, არ გაგკიცხავენ, მაგრამ პასუხს კი, თქვენს მაგიერ-მე მომკითხავენ!

ს ო ფ ი ა (მოლჩალინს).

წადით, მთელი დღე კვლავ ნაღველის მოთმენა გველის!

ლი ზ ა.

ღმერთმა გილხინოთ! კმარა, წადით, გაუშვით ხელი!

(ხელს გააშვებინებს. მოლჩალინი კარებში ფამუსოვს შეეფეთება).

გამოსვლა მეოთხე.

სოფია, ლიზა, მოლჩალინი და ფამუსოვი.

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

რა ოინია!... მოლჩალინ, ეგ შენა ხარ მანდ, ძმავ?

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

ღიახ!...

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

მერე რა გინდა აქ, უდროოდ მოსულს რომ გხედავ? სოფიაც!... დილა მშვიდობისა, სოფია, რისთვის

ამდგარხარ ასე ადრე, ა? რა ზრუნვისთვის? ან ღმერთმა ასე უდროოდ თქვენ როგორ შეგყარათ?

ს ო ფ ი ა.

მხოლოდ ახლახან, ეს-ესაა რაც შემოვიდა!

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

ღიახ! წუთით წინ, სეირნობიდან!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ა-ა, მეგობარო, მინდა გირჩიო: არ შეიძლება სასეირნოდ ქუჩა უფრო შორს ამოირჩიო?! შენც, ქალბატონო!

ჩინებულად კი მოქცეულხარ, რომ ლოგინიდან წამომხტარი-გამოქცეულხარ მამაკაცისაკენ! მერე ისიც

ახალგაზრდისაკენ!... მთელ ღამეს რაღაც ცრუ ზღაპრების წიგნებს კითხულობს, თვალებს იბრმავეებს, აი,

ნაყოფიც! სულ ოცნებობს ერთსა და იმავეს: კუნძულის ხიდი, სულ მარად ჟამს ეს ფრანგუზები, სიდანაც

მოდის მოდები და მათი მუზები, - ეს ჯიბეების და გულების მთლად დამლუპველი, როდის დაგვიხსნის

ჩვენ მოწყალე მამა უფალი მათი ქუდების და ქინძისთავ-დუგმებისაგან, მათი წიგნების და ბისკვიტის დუქნებისაგან!

სოფია.

მაცალეთ, მამა, მე თავბრუ მესხმის, სულს ძლივსღა ვითქვავ, შიშით არც მესმის; ისე ინებეთ შემოჭრა ფიცხად რომ მოლად დავფეთდი...

ფამუსოვი.

მე შემოვიჭერ!... მე დავაფეთე! რა საშინელი რამ გავაკეთე!... თვით მე, სოფია, გახსოვს შენ ეს, რეტდასხმულივით ვატარებ მთელ დღეს სამსახურებრივ ჭაპანწყვეტაში: ეს იმასა მთხოვს, იმას-ის უნდა, ჩემთან საქმე აქვს სუყველას, მუდამ: მათგან თავი მაქვს გაბრუებული; განა ახლა დარდიღა მაკლდა, დავრჩენილიყავ მოტყუებული?

სოფია (ცრემლმორეული).

ვის მიერ, მამავ?

ფამუსოვი.

დამიწყებენ მე ახლა კამათს, რომ თითქოს მუდამ უაზროდა ვტუგსავ უსუსურს! ნუ ტირი-მეთქი! მე საქმეზე ლაპარაკი მსურს: განა აღზრდისთვის ზრუნვას გაკლებდი? ჯერ აკვანშივე როცა გარწევდი, დედა მოგიკვდა... ავდექი მე და დაგიქირავე მეორე დედა- იმ ფრანგი მადამ როზიეს სახით! ოქრო-მოხუცის სახელს ვეძახდით: ზრდილი, კეთილი, იყო ჭკვიანი და თანაც სათნო ადამიანი! მაგრამ ერთში კი პატიოსნად ველარ მომექცა: ზედმეტ ხუთასი მანეთისთვის-სხვასთან გამექცა! მაგრამ მადამში როდია ძალა! რად მიგვიზიდოს ნიმუშმა სხვამა? როს მაგალითად თვალწინ გყავს მამა: აბა, შემხედე! არ ვტრაბახობ მე ახოვნებას, მაგრამ მხნედ, ლაღად სიბერემდე მოვყევ ცხოვრებას! თავისუფალი ქვრივი, თვითონ თავის ბატონი, წმინდანის ქცევით ვარ ცნობილი და მოსაწონი!

ლიზანკა.

მე გაგიბედავთ, ბატონო, რომ ...

ფამუსოვი.

ჩუმად! კრინტი! ხმა! რა საშინელი დრო დაგვიდგა, არ იცი რა ქნა : ყველა დაბრძენდა ასაკზე ადრე და მეტადრე სათნო ქალები, უფრო ჩვენები! რას ავიჩემეთ ნეტავი ეს უცხო ენები? წინდაუხედავ კმაყოფილებით შემოგვყავს სახლში მაწანწალები, ზოგს ბილეთებით ვთხოვთ მოკტძალებით, რომ გაწვრთნან ჩვენი ქალიშვილები: ასწავლონ ცეკვა! სიმღერა! ოხვრა! მწო, სინარნარე და ეს გვახარებს,

თითქოს მათ ცოლად ვუმზადებთ ტაკიმასხარებს! შენ, კი, ბატონო, აქ რა გინდა? რად ხარ მოსული? უმწეო
ობოლს მე ოჯახის კარი გაგიღე, მოგეცი ჩინი ასესორის, მდივნად მიგიღე! მოსკოვშიც ჩემი წყალობით ხარ
შენ გადმოსული, თორემ უჩემოდ-მიყრუებულ შენს ქალაქ ტვერში განვლიდი დღეებს უქმ კირკიტში.
ხავსა და მტვერში.

ს ო ფ ი ა.

თქვენს მრისხანებას ვერ მივმხდარვარ! განა რა მოხდა? ეგ ხომ აქ ცხოვრობს, შემოსვლის დროს გზას
ამცდარიყო, ერთში უნდოდა და მერე მეორე ოთახში მოხვდა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

მოხვდა თუ სურდა, რომ მომხვდარიყო? ერთად რაღად ხართ? განდა ესეც შემთხვევით იყო?

სოფია.

აი. თურმე-რას მოასწავებს თქვენი იგავი: დიახ, შემთხვევით, უცნაურით და, თან იმგვარით, როგორც წელან თქვენ, აქ, ლიზასთან ერთად იყავით! თქვენ მეტიმეტად შემაშინეთ აურზაურით, და კისრისტენით გამოვქანდი; კვლავ მაკანკალებს!

ფამუსოვი.

ერი-ჰა, ეს ხომ მთელ ამ ჩოჩქოლს მე დამაბრალებს! თურმე უდროოდ შევაწუხე ჩემი ნმაურით.

სოფია.

ბუნდოვან სიზმრის უსაგნობა მაწუხებს ახლა, რომ ვთქვათ-გამიგებთ, საგულისხმო თქვენთვის გახლავთ!

ფამუსოვი.

ეგ რაღა არი?

სოფია.

გითხრათ სიზმარი?

ფამუსოვი.

კარგი, მითხარი! (ჯდება).

სოფია.

ინებეთ... იცით? ჯერ პირველად ვხედავდი მდელოს, ყვავილით ნაქსოვს, მე იქ ვეძებდი რაღაც ბალახს, როგორს-არ მახსოვს! ნაზღად გაჩნდა საყვარელი ადამიანი, მათგანი, ვისაც ერთხელ ვნახავთ, მაგრამ გვგონია, თითქოს ასი წლის ნაცნობობა მასთან გვქონია; მოვიდა დინჯი, შემპარავი, მორიდებული, მაგრამ კი მორცხვი-ვით ღარიბად დაბადებული!

ფამუსოვი.

ოხ, საყვარელო, გულს ნუ მიხეთქ, ეგ არ ხდება-ვინც ღარიბია შენი წყვილი ის ვერ გახდება!

სოფია.

შემდეგ კვლავ გაქრა ყოველივე ცაც. ველიც, მთებიც, ჩვენ ბნელ ოთახში ვიმყოფებით...კვლავ საოცრება: უცებ გაიპო იატაკი-იქ თქვენ მოძვრებით, ფერმიხდილი ხართ-სიკვდილივით, აბურძგნილ თმებით!... ამ დროს გრიალით შემოხსნეს კარი და საშიშარი რამ არსებანი: არც კაცის მსგავსნი და არც მხეცები, შემოგვიცვივდნენ, დაგვაშორეს ჩვენ-ერთად მსხდომნი: იწყეს წამება, მე კი იგი გაასკეცებით მიყვარდა ვითომ, საუნჯეზე მეტად, მგონი, მსურს მასთან მისვლა, თქვენ კი, ვითომ თვისკენ მიმათრევთ! ჩვენ თან

მოგვყვება იმ ურჩხულთა ვაი-ვაგლახი, კვნესა გმუილი, სტვენა, ხარხარი, ის შველას მთხოვს და თან მომძახის! გამომეღვიძა, მესმის ხმები გაუბედავი, თქვენი ხმა!... ვფიქრობ ასე ადრე რაა ნეტავი? ვერაფერს მივხვდი. გამოვეშურე და აქ ორნი ერთად დამიხვდით!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ღიანაც ცუდი სიზმარია-როგორცა ვხედავ, თუ სეს არ არის მთლად ტყუილი და ცრუ არაკი: შიგ ეშმაკებიც ურევია, მზეც,-ერთი სიტყვით, ყვავილიც, შიშიც, სიყვარულიც! ბატონო, შენლა? შენ რაღას იტყვი?

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

თქვენი ხმა მესმა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

უცნაურია და სასაცილო, აიკვიატეს ეს ჩემი ხმა და ჩემი კილო, ყველას ესმოდა და უხმობდა დილის ცისკრამდის! შენც აქ ჩემს ხმაზე მოირბინე? რისთვის, მითხარი?

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

მე ქაღალდები მომქონდა თქვენთან!...

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ჰო, ეგლა მაკლდა! მითხარ, გეთაყვა, ასე ადრე როგორ აღგეძრა შენ წერისადმე სიბეჯითე, რომ არ გასვენებს?(წამოდგება) აბა, სოფიკო შენ დაგეხსნები; ზოგჯერ საოცარ სიზმრებს ვხედავთ, მაგრამ ცხადლივ კი, უსოცრესი რამ ხდება ხოლმე: აი, შენც თურმე ყვავილს ეძებდი.- მეგობარი კი უცბადა ჰპოვე,- გამოიბერტყე ცრუ ოცნებები; სასწაულებში ხეირს ვერ ნახავ, დასაძინებლად წადი ხელახლა! (მოლჩალინს) წამო გავსინჯოთ ეგ ქაღალდები!

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

მინდოდა მხოლოდ მე მოხსენება წინასწარი, რომ ზოგ ამ ქაღალდს ცნობის დართვა და შესწორება სჭირია მცირე-უამისოდ არ გაიშვება, ზოგშიც ბევრი რამ წინაუკმოდ, სადავო არიდ და ზოგიც-საქმის ქაღალდადაც არ ჩაითვლება!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

მე კი ვშიშობ, რომ ეგ ქაღალდები, აქ მეტისმეტად არ დააგროვოთ,- ასეც იზამდით-თქვენ რომ გადროვოთ,- მე კი ასეთი მიდგომა ვიცი: ხელს რომ მოვაწერ, აღარ გადავდებ, საქმიანია თუ უსაქმოა, მერე მშვიდობით, მხრებიდან ტვირთი მოხსნილია და აღარ მადარდებს! (გაღიან. მოლჩალინს კარებში წინ უშვებს და უკან მიჰყვება).

გამოსვლა მეხუთე.

სოფია, ლიზა.

ლიზა.

ესეც სეირი, ესეც თქვენი დროს გატარება! თუმც არა, ეხლა სიცილი არ შეგვეფარდება: თვალთ დამიბნელდა, დაილია სული ალალი, ცოდვა მცირეა, ხმის დაყრა კი-კარგი არ არი!

სოფია.

ხმას რა დავეძებ. თუნდ მტკიცხოს სხვამა! მე დაფიქრებას მომთხოვს თვით მამა, ის ხომ ფიცხია, ბუზღუნა, მკაცრი, მუდამ ასეთი იყო და აწ კი თვითონვე განსჯი!

ლიზა.

რა სხვის თქმა მინდა! თქვი...ის ჩაგკეტავს, კიდეც კარგი, თუ ჩემთან ჩაგკეტათ! თორემ ერთბაშად თუ მისებურად წამოუარა-დაგვიხსნას ღმერთმა: მაშინ მეც, სხვებსაც და მოლჩალინსაც-ყველას სახლიდან დაგვიფრენს ერთად!

სოფია.

რომ ჩავუფიქრდეთ, ბედი როგორ თავნება არი, ხან უარესიც ჩაივლის, ვით ამბავი წყნარი. ხან კი, როდესაც საწუნი რამ ფიქრადაც არ გვაქვს, გადაეყრები ამნაირ ამბავს: მუსიკის ხმებში საამო დრო დიოდა მწყობრად, არც მწუხარება, არც ეჭვები არ გვაწვალებდა, თითქოს ბედიც ჩვენ გვიღიმოდა, გვყავდა მეგობრად, დარდი კი-თურმე ჩვენ კუთხიდან გვითვალთვალებდა.

ლიზა.

საქმეც ეგ არის! ჩემს სიტყვას და უგნურს მსჯელობას ყურს არ უგდებთ, აი საფრთხეც თქვენ სად გელოდათ! სად ნახავთ ჩემზე უკეთეს მისანს? გიმეორებდით,-ვერასოდეს მიაღწევთ მიზანს ამ სიყვარულში. მამათქვენიც ხომ იგივეა როგორც ყოველი, სხვა მოსკოველი: მას სურს იმგვარი სიძე ყავდეს, მოქარგული აქვს ჩინ-ვარსკვლავით ვისაც მკლავები-ჩინოსნებში კი-განსხვავება კიდეც ის არი, რომ იმათ შორის როდი გახლავთ ყველა მდიდარი, რომ ის სჯობდეს სხვათ, რო ფულთ ეძებდეს, რომ შეეძლოს გამართოს ბალი! ვით პოლკოვნიკი სკალოზუბი, ვისაც ოქრო აქვს, და მას ყოველთვის გენერლობაზე უჭირავს თვალი.

სოფია.

კარგი ვინმეც თქვი,-სხვა დარდი არ მაქვს,

ფრუნტზე და ჯარზე ვუსმენდე სულ მას! მთელ სიცოცხლეში ჭკვიანურ სიტყვას ერთხელ ვერ იტყვის ის
საცოდავი! ჩემთვის ერთია გინდ იმას გავყვე, გინდ დასახრჩობლად წყალს მივცე თავი!

ლიზა.

ღიას! ესე ვთქვით, ყბედია, მაგრამ უეშმაკოა, დაუძრახველი, მაგრამ სამხედრო უწოდეთ, თუნდაც
სამოქალაქო კაცის სახელი-აბა, ვინ არის უფრო მგრძნობიერ, უფრო მჭერმეტყველ კაცის მნახველი-ვიდრე
ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცკი! მიტომ კი არა, რომ შეგაშფოთოთ, დიდმა დრომ განვლო, არ დაბრუნდება,
თუმც კარგად მახსოვს!...

სოფია.

აბა რა გახსოვს? რომ კარგად მასწრობ, ყველას დასცინის, ყბედობს, კამათობს, და მეც ეს მართობს, განა არ
იცი, ვიზიარებთ ყველასთან სიცილს?

ლიზა.

მხოლოდ ეგ? ვითომ? საწყალი! სულც რემლა დანებოდა, მახსოვს, წასვლის წინ,
როცა იგი გეთხოვებოდა.

რათ უბრუნოთ-მე თქო? სჯობს იცხოვროდეს არმცინარედ!

ლიზა! ტყუილად როდი ვტირი, - მიტხრამან მწარედ,-

ვინ იცის, როცა დავბრუნდები, რალა დამხვდება, ვინ იცის, ჩემთვის რამდენი რამ დაიკარგება!

სოფია.

წედმეტ უფლებას თავს ნუ აძლევ! იკმარე, შესდექ! იქნებ იმხანად ვით ქარაფშუტა მოვიქეცი საუბედუროდ, ეს ვიცი. ვნანობ კიდეც, მაგრამ სად ხედავ ღალატს? რომ ერთგულების დარღვევა მე მისაყვედუროს? მართალი არის, მე და ჩაცკი ვხვდებოდით ხშირად, ერთად გვხვდა აღზრდა, სიყრმის წლების სიამტკბილობა და ერთად ყოფნის ჩვეულებამ დაგვაკავშირა კიდეც ბავშური მეგობრობით, მაგრამ ის ბოლოს თვითვე დაგვშორდა!... ჩვენთან გრძნობდა მოწყალეობას და ჩვენს სახლს უკვე იშვიათად წყალობდა მხოლოდ. შემდეგ, კვლავ თავი მომაჩვენა შეყვარებულად, მკაცრად და თანაც დადარდებულად, ენამახვილი, მკვირცხლი, ჭკვიანი, ტოლ-მეგობრებში სვე-იღბლიანი, აი, მაღალი აზრის გახდა თავის თავზე და მოგზაურობის ყინი აღედრა. ახ, თუკი ვინმეს ვინმე უყვარს, ჭკუის საძებრად რა საჭიროა შორს გამგზავრება?

ლიზა.

ნეტა სად დაჰქრის, რომელ მხარეს და რომელ გზაზე? ამბობდნენ-თითქოს მკურნალობდა ის მჟავე წყლებზე, ავად როდია, მაგრამ ის, ალბათ, მოწყენისაგან განკურვას ცდილობს!

სოფია.

თავსაც იქა გრძნობს, ცხადია კარგად, სადაც მეტს ხედავს ხალხს სასაცილოს! მე კი, ვინც მიყვარს ის მაგას არ ჰგავს: მოლჩალინი ხომ სხვების გულისთვის თავს არ დაზოგავს!... სძულს თავხედობა, თვითონ ზრდილია, მორცხვი, წყნარი და გაუბედავი, მთელ ღამის ასე ტკბილად გათევას ვისთან შეგძლებდი კიდე ნეტავი? აი, ჩვენ ვსხედვართ, გარეთ კი თეთრად გათენდა, დილის შუქი ანთია, შენ როგორ ფიქრობ? რითი ვერთობით?

ლიზა.

უფალმან უწყის! რას ბრძანებთ, ეს რა ჩემი საქმეა?

სოფია.

აიღებს ჩემს ხელს, გულში იხუტებს, სულის სიღრმიდან ამოიხრებს, სიტყვას არ მეტყვის მოურიდებელს, ხელი ხელში აქვს, თვალს არ მაშორებს, და მთელ გრძელ ღამეს ასე ატარებს! რა განარხარებს? ჩემს ნათქვამ სიტყვებს დასაცინარი აბა, რა ჰქონდა?

ლიზა.

ახ, ქალბატონო! სიმართლე რომ ვთქვა, დეიდათქვენი მე მომაგონდა: მას ახალგაზრდა ფრანგი რომ ჰყავდა, განსოვს, სახლიდან როგორ გაექცა? საწყალს დარდისგან მთლად ელდა ეცა, წყენის დაფარვა მან ველარ შეძლო, თუმცა ჰფარავდა, თმების შეღებვა გადაავიწყდა და სამ დღეში მთლად გაჭაღარავდა! (ისევ ხარხარებს).

ს ო ფ ი ა (წყენით).

აი, მეც ასე მომელის კილვა!

ლ ი ზ ა.

გთხოვთ მომიტევოთ! თქვენი დაცინვა არ გამივლია მე ფიქრადაც კი. მე ამ სიცილით ბოლოს და ბოლოს, თქვენი გართობა მეწადა მხოლოდ!

გამოსვლა შეექვსე.

სოფია, ლიზა, მსახური, შემდეგ ჩაცვი.

მ ს ა ხ უ რ ი.

თქვენთან გახლათ ალექსანდრ ანდრეიჩ ჩაცვი! (გადის).

გამოსვლა მეშვიდე.

ჩ ა ც კ ი.

ოდნავ ინათა უკვე ფეხზე ხართ (მზურვალედ ჰკოცნის ხელზე) და მეც აქა ვარ, თქვენს ფერხთა წინა! აბა, მაკოცეთ, არ მელოდით? მითხარით, არა? მოხარული ხართ? შემომხედეთ სახეში ჩქარა, გიკვირთ და მეტი არაფერი? აი მიღება სტუმრის საფერი! თითქოს სრულიად, ერთ კვირასაც არ გაუვლია, თითქოს გუშინაც ერთად ვიყავით და მოვაბეზრეთ ერთმანეთს თავი! რამდენად უფრო დამშვენებულხართ, მაგრამ ჩემს მიმართ ბეწვისოდენა სიყვარულიც აღარ გქონიათ, მაშინ, როდესაც მე მშვიდად ვერ მომიგონია, რომ ორმოც საათს, შვიდას ვერსზე მეტი მანძილი, ისე გამოვლლე, არ უნახავს თვალს წუთით ძილი, ქარბუქში ყველა დამეფანტა-გზის გადამკიდეს,-გადავიჩეხე რამდენჯერ კიდევ, და აი, ჯილდოც: თქვენ დამიხვდით ასე გულმშვიდად.

ს ო ფ ი ა.

ახ, ჩაცკი...თქვენი მოსვლა მახარებს დიდად!

ჩ ა ც კ ი.

გიხარით? ვითომ? კეთილი იყოს! მაგრამ თქვენგან დღეს, რასაც აქ ვისმენ, გულწრფელად ასე უხარის ვისმე? მგონი, ამოდ ძალას ვხარჯავდი, ხალხსა და ცხენებს როცა ვქანცავდი და თანაგრძნობას თქვენსას ვეძებდი. ჩანს, თავს ამოდ ვინუგეშებდი!

ს ო ფ ი ა.

არათუ ახლა, სულ ასე არი. მე საყვედური არ მეთქმის თქვენგან: მუდამ და ყველგან ვინც გამოვივლის, ვინც გახსნა კარი, შინაურს, უცხოს-მოსულს გარედან-ვკითხავ-ხომ არსად დაუნახავხართ თქვენ, მიმავალი ფოსტის კარტით?

ჩ ა ც კ ი.

წარმოვიდგინოთ, ასეა ახლა. ნეტარ არს, ვინც რომ მორწმუნეა, მას თბილა ქვეყნად!... ახ, ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა აქა ვარ მე კვლავ, მოსკოვში, თქვენთან? როგორ უნდა მეცანით ახლა?-სად არის ის დრო, ის ასაკი-უმანკო, წრფელი, როცა, ხომ გახსოვთ, სადამო გრძელი-მე და თქვენ ერთად ვთამაშობდით, რბენა გვართობდა, ხან მაგიდებზე, ხან სკამებზე რომ ავხტებოდით! ან მამათქვენი და მადამი პიკეტს რომ უხსდნენ თავდავიწყებით, ჩვენ-ბნელ კუთხეში, მგონი, აი, აქ რომ ვისხედით, და გახსოვთ, რომ გვეშინოდა, როგორ გვაკრთობდა, სკამის თუ კარის ოდნავ ჭრიალს თუ მოვისმენდით?

ს ო ფ ი ა.

ბავშობა იყო ის ასაკი!

ჩ ა ც კ ი.

დიახ, ახლა კი!... ჩვიდმეტი წლისა გაფურჩქვნილხართ შვენების ნიჭით შეუდარებლად და ეს თვითონ თქვენც კარგად იცით! ამიტომ არის, რომ მორცხვობთ და ქვეყნისა ჩვევას არ აჰყოლილხართ, არც მოითხოვთ ამაში რჩევას! ხომ არავინ გიყვართ?... გთხოვთ პირდაპირ პასუხი მომცეთ დაუფიქრებლივ-ნუ შეკრთებით, ნუ დაიმორცხვებთ!

ს ო ფ ი ა.

ვის არ შეაკრთობს ეს კითხვები-სწრაფი და ცხარე-და შემოხედვა ცნობისმოყვარე?

ჩ ა ც კ ი.

თუ არ თქვენ, მამ სხვა რა გავიკვირვო? სხვას რას მიჩნენებს მოსკოვი ახალს?- გუშინ თუ ბალი ერთ ადგილს იყო, ხვალ ორ ადგილს გამართვენ ამ ბალს! ეს დაინიშნა, მან ვერ-მოასწრო და მშრალზე დარჩა ნაალერსები, ჭორი ვით სხვა დროს, კვლავ მითქმა მოთქმა და ალბომებში იგივე ლექსები!

ს ო ფ ი ა.

მოსკოვს აძაგებთ! აი, რას ნიშნავს ქვეყნების ნახვა, შემოვლა მგზავრად, მამ რად სჯობია?

ჩ ა ც კ ი.

სადაც ჩვენ არ ვართ! მამა რასა იქმს? ინგლისურ კლუბის ისევ წევრია, მარად ერთგული? ან ბიძათქვენი? ხომ არ მოჭამა მან წუთისოფლად თავისი დღენი? ან აი, ისა, რა ჰქვიან იმას, თურქი როა თუ, მგონი, ბერძენი!... აი, ის, სახით შავგრემანი, წეროსფეხება, სადაც კი შეხვალ, სუყველგან რომ შეგეჩენება,- სასადილოში თუ სასტუმროში, ან კიდევ სამი ბულვარი პირი, რომელნიც, ყვალგან მდგომელნი, ორმოცდაათ წლის ასაკში რომ ახალგაზრდობენ? მილიონობით მოყვარე ჰყავთ, მეტსაც მოჰკრეფენ, დების წყალობით მთელ ევროპას დაიმოყვრებენ! ან ის-ჩვენი მზე, საუნჯე და განძი მარადი,-პირდაპირ შუბლზე რომ აწერის მხოლოდ თეატრი და მასკარადი. სახლი სულ მწვანით მოუხატავს, ვით ტყე მართალი. თვითონ სქელია-არტისტები კი ჰყავს გამხდარი! ბალზე, ხომ გახსოვთ, მე და თქვენ რა აღმოვაჩინეთ? ერთ საიდუმლო ბნელ ოთახში რომ შევამჩნიეთ: ფარდების უკან ბულბულივით კაცი უსტვენდა,-ზაფხულის ჰანგით-ცივ ზამთარში სტუმრებს ულხენდა! ან თქვენი ჭლექი ნათესავი-წიგნების მტერი, რომელიც სწავლულ კომიტეტში ჩაჯდა, ხომ იცით, და გაჰყვიროდა, ითხოვდა ფიცით-რომ წიგნის კითხვა არვის ესწავლა და არ მიეღო რაიმე სწავლა! მე მათი ნახვა კვლავ მერგო, ვით ბედის ხუნდები, ცხოვრება მათთან მომწყინდება მე უმადური, მაგრამ ვის ნახვ ისეთს, რომ ვერ უპოვო წუნი?- როცა მოივლი ქვეყნებსა და შინ დაბრუნდები, სამომბლოს კვამლშიც კი ტკბილია და საამური!

ს ო ფ ი ა.

თქვენთვის დეიდას ნახვა აჯობებს, ის ჩამოგითვლით ყველა ნაცნობებს!

ჩ ა ც კ ი.

მართლა, დეიდა? კვლავ ქალიშვილობს, კვლავ მინერვაა გასაკვირველი? კვლავ ძველებურად ფრეილინაა ეკატერინე პირველის? ფინიებით და აღზრდილ ქალებით სახლი სავსე აქვს კვლავ საარაკოდ? ოჰ, ვისაუბროთ აღზრდაზე ჩვენა, დღესაც ისეა, ვით იყო ძველად? ისევ წვალობენ, რომ მთელ პოლკებად მასწავლებლების შეკრიბონ დასი-რიცხვით მრავალი და მცირე-ფასით? ხოლო მათ ცოდნას ვინ ეძებს აბა? ჩვენ ხომ რუსეთში დიდი ჯარიმის მუქარით, რისხვით გვთხოვენ კვლავ სწრაფად, რომ მივიჩნიოთ ყველა

მათგანი ისტორიკოსად თუ გეოგრაფად! ხომ გაგონდებათ ჩვენი მენტოლი?-მისი ხალათი და ქუდსარქველა! საჩვენებელი თითი იმისი ეს სწავლულების ნიშანი ყველა-როგორ აკრთობდა ჩვენ სათუთ აზრს, ფიქრსა და თმენას, და როგორ ადრე ვეჩვეოდით უბადრუკ რწმენას, რომ გერმანელთა გარეშე ჩვენ არა გვაქვს შველა! ფრანგ გილიომე?-იმ ლატაკს და ქარგადმოყოლილს ხომ არ შეუერთავს ჯერ კიდევ ცოლი?

ს ო ფ ი ა.
ვის შეირთავდა?

ჩ ა ც კ ი.

ვინმე კნენას, პულხერია ანდრეევნას!

ს ო ფ ი ა.

ცეკვის ოსტატი! რამ გათქმევინათ!

ჩ ა ც კ ი.

რა ვუყოთ, ის ხომ კავალერია! ჩვენ მოგვთხოვენ, რომ, ქონების გარდა, ჩინიცა გვქონდეს, გილიომესთვის ეს არ წერია! აქ როგორ ხდება, რა წესს მისდევენ?-დიდ ყრილობებსა და დღეობებში კვლავ ფრანგულ ენას ნიჟეგოროდულ კილოში რევენ?

ს ო ფ ი ა.

ენის აღრევა როგორ იქნება?

ჩ ა ც კ ი.

დიახ, ორისა,-უმისოდ ხომ არ შეიძლება?

ლ ი ზ ა.

ორისა ერთი რომ გამოსჭრან, რა ბედენაა, ისეთი, როგორც თქვენი ენაა!

ჩ ა ც კ ი.

მაგრამ მე, ყოველ შემთხვევაში, არ მომაქვს თავი! ესეც ახალი თქვენი ამბავი! წუთით ვსარგებლობ, და თუ ბევრს ვროშავ, მე მახალისებს ის, რომ თქვენთან ვარ! მაგრამ არ არის განა დრო, როცა თვით მოლჩალინზეც სულელი ვჩანვარ? სად არის, მართლა, გახსენებაზე დმილს ბეჭედი ვერ ახსნა ჩვეულს? მახსოვს, ახალ რამ სიმღერის რვეულს თუკი ნახავდა ჩემს მაგიდაზე, მეხვეწებოდა ყოველთვის ისა: ნება მიმეცა გადაწერისა! თუმცა ისიც კი სათქმელი არის, რომ ის გარკვეულს მიაღწევს ხარისხს და წარჩინებას მოიხვეჭს უხვად.

ჩვენში ხომ ახლა უტყვები უყვართ!

ს ო ფ ი ა (ჩუმად).

კაცი კი არა, გველი არის! (ხმამალა და ძალდატანებით) მსურს თქვენთვის კითხვა: მომხდარა, როცა სიცილის თუ მწუხარების დროს, თუნდაც შეცდომით, თქვენ ვინმეზე კეთილი გითქვამთ? ახლა კი არა, თუნდაც წინათ, თქვენს სიყრმის აქეთ?

ჩ ა ც კ ი.

როს ყოველივე რბილი, ნაზი და უმწიფარი არის ჩვენთვის ხომ? შორს რად უნდა გავყვეთ ამ საგნებს, აი, თქვენი კეთილი საქმე. ეს კია, ეყვნის ჟღარუნით მე, ისე, ვით ქარი, დღედაღამ, თოვლის უდაბნოზე, თქვენსკენ ვიჩქარი და როგორ გხედავთ? თქვენ მკაცრი და სასტიკი მხვდებით! აი, ნახევარ საათს ვუმზერ მე ღვთის მისავი წმინდანის ცივ სახეს და თქვენც მიმიხვდებით, მაინც მიყვარხართ თავდავიწყებით! (წუთით სიჩუმე).

მისმენთ, განა ჩემი სიტყვა მუდამ ავია? და მე მწადია ვისიმე ვნება? მაშ თუ სასეა, გულს გონება არ ეთანხმება! მე ჩერჩეტების ზოგ სისულელეს ერთხელ დავცინებ, გული თუ მწყდება, და შემდეგ ისევ დამავიწყდება! და რომ მიბრძანოთ ცეცხლში ჩადგომაც, როგორც ნადიმზე, წავალ იქ, მჯერა!

ს ო ფ ი ა.

კარგი იქნება, თუკი დაგწვით, მაგრამ თუ ვერა?

გამოსვლა მერვე.

სოფია, ლიზა ჩაცკი, ფამუსოვი.

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ესეც მეორე!

ს ო ფ ი ა.

აზ, მამავ ახლა ჩემი სიზმარი! (გადის).

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

(ჩუმად უპასუხებს) კრული სიზმარი!

გამოსვლა მეცხრე.

ფამუსოვი, ჩაცკი.

(მისჩერებია კარებს, საიდანაც სოფია გავიდა).

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

აი ოინი სწორედ შენ გვიყავ: სამ წელს არ გვწერდი თუნდაც ორ სიტყვას და უცებ, ღრუბლით მოსულის მსგავსად, მოულოდნელად დაგვატყდი თავსა! (გადაეხვევიან) ო, გამარჯობა, ძმაგ, მეგობარო, ალბათ, მზადა გაქვს შენ მრავალკარად დიდი ამბების დიდი კრებული. აბა, დაჯექ და მომიყევ ჩქარა! (სხდებიან).

ჩ ა ც კ ი (დაბნეულად).

სოფია პავლოვნა რა საოცრად დამშვენებულა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

თქვენ, ყმაწვილკაცებს, სხვა საქმე არ გაქვთ, უნდა შენიშნოთ ქალის შვენება: რაღაც გადაკვრით წასცდა და, ალბათ, შენც იმედისგან არ გესვენება!

ჩ ა ც კ ი.

ან! რასა ბრძანებთ? იმედით სულაც მე ბედს არ ვყავარ გალაღებული!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

სიზმარი ახდა ჩურჩულით მითხრა და ამან უცებ შენც ჩაგაფიქრა!

ჩ ა ც კ ი.

მე? სულაც არა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ვინ დაესიზმრა? რა აქვს სათქმელი?

ჩ ა ც კ ი.

მე არ გახლავართ სიზმრის ამხსნელი!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ნურც დაუჯერებ, ბოღვა აწვალეებს!

ჩ ა ც კ ი.

ვუჯერებ მხოლოდ საკუთარ თვალებს: ჯერ არ მინახავს, ხელწერილს დავდებ, რომ მაგას ვინმე თუნდ
ოდნავ ჰგავდეს!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ეს სულ თავისას განაგრძობს ისევ! მიაბზე მეთქი, დამისატყვისე, ამდენი წელი საით იარე და ან საიდან
მოხვალ ამხანად?

ჩ ა ც კ ი.

ახლა მაგისტვის მცალია განა? მსურდა მომეგლო მთელი ქვეყანა და მეასედიც ვერ მოვიარე! (სწრაფად
წამოდგება) გთხოვთ, მომიტევოთ; თქვენს ნახვასა ვჩქარობდი, ჯერაც შინ არ მივსულვარ. მშვიდობით, მე
კვლავ ერთ საათში მოვალ და მჯერა, არ დავივიწყებ წვრილმანსაც კი პაწაწკინტელას, პირველს თქვენ
გეტყვით, მერე თქვენ კი უამბეთ ყველას. (კარებში გასვლისას) რა მშვენიერი, რა ტურფა არის! (მიდის).

ფ ა მ უ ს ო ვ ი (მარტო).

მ ა ი ნ ც რ ო მ ე ლ ი ა რ ი ს ა მ ო რ შ ი ?

ახ, მამავ, სიზმრის ნახვა ამინდა!-- ხმამალა ბედავს ჩემთან ამის თქმას, არ ვიცი, რა გზა გამომადგება: დღეს მოლჩალინმა ეჭვი აღმიძრა, ახლა კი... აი, ამასა ჰქვია: ცეცხლიდან ალში ჩადგება! ის ღატაკია! ეს ფრანტობს ერთობ! მფლანგველს, უდარდელს სჭირს ქედმაღლობა! რა ხათაბალა ყოფილა, ღმერთო, გასათხოვარი ქალის მამობა! (გადის).

პირველი მოქმედების დასასრული.

მოქმედება მეორე.

გამოსვლა I.

ფამუსოვი, მსახური.

ფამუსოვი.

პეტრუშკა! შენ მაგ ახალთახლებშიც.

ხარ მუდამ ნიდაყვამოხეული!

აბა, აიღე ეგ კალენდარი...

გადაიკითხე... მაგრამ ჩვეული.

ღიაკვნის კილო დღეს დაივიწყე:

დინჯად, გულდასმით, გრძნობით დაიწყე!

მოიცა-მეთქი!.. შენ მაგ რვეულის ჩასაწერ.

გვერდზე აღნიშნე ესა:

მომავალ კვირის სამშაბათ დღესა.

მე პრასკოვია ივანოვნასთან.
ახალ კალმანზე ვარ მიწვეული!..
გაოცებს ქვეყნის გაჩენის წესი!
ბრძნულად განსაჯო __ტინის დაიბნელებ.
ხან თავს იზოგავ, ხან ჭამ სამ საათს.
და სამ დღეშიც კი ვერ მოინელებ!
აღნიშნე იქვე, იმ დღესვე... არა,
ხუთშაბათს კიდეც მე გასვენებას.
უნდა დავესწრო... ენ, კაცთა მოდგმავ!
დაგვიწყებია მის გახსენება,
რომ თვითეული ჩვენგანი, ბოლოს,
იმავე პატარა ყუთში ჩაძვრება,
სად ვერც ადგება და ვერც დაჯდება!
ხოლო ვისაც სურს_საქებ სახელით.
ხსოვნა დატოვოს, გახდეს ქებული,
მისთვის პირდაპირ მისაბაძველი.
მაგალითია განსვენებული!
ის კამერჰერი იყო ცნობილი _.
და გასაღები ოქროსი ჰქონდა.
კამერჰერობა შვილსაც უშოვა!
იყო მდიდარი, ცოლიც ითხოვა.
დიდმზითვიანი, დრო ატარა კმაყოფილებით,
დააქორწინა შვილები და შვილიშვილებიმ,
მოკვდა და ყველა იგონოს დღეს ცრემლის მფარველი.
კუზმა პეტროვიჩს ღმერთმა მისცეს სასუფეველი!
ამ ჩვენს მოსკოვში, ვინ გაიგებს და ვინ მიწვდება,
მართლაც, რამდენი დიდკაცობა ცხოვრობს და კვდება!..
ჩასწერე: იმავე ხუთშაბათს... ჰო, იმავე დღეს, ალბათ,

ან შეიძლება პარასკევსა, თუ მგონი შაბათს,
მე ბავშვი უნდა მოვუნათლო ექიმის ქვრივსა,
თუმცა მას ბავშვი ჯერ კიდევ არ დაუბადია,
მაგრამ ცხადია,
რომ იმ დღეს, ჩემი ანგარიშით, უნდა დაბადოს!

გამოსვლა II.

ფამუსოვი, მსახური, ჩაცვი.

ფამუსოვი.

აა! ალექსანდრ ანდრენიჩ! გთხოვთ, რომ დაბრძანდეთ!

ჩაცვი.

თქვენ არ გცალიათ?

ფამუსოვი (მსახური).

დაგვტოვე, წადი!

(მსახური გადის).

ღიას, სხვადასხვა საქმეებს ჩვენ დავთარში ვიწერთ.

მანსოვრობისთვის, ერთიც ვნახოთ და დაგვაკვიწყდეს!

ჩაცვი.

თქვენ რაღაც უცებ მოიწყინეთ, რა მოხდა ახლა?

შესაძლო არის ჩემი მოსვლა უდროო განლავთ?

ან თქვენს ქალიშვილს ხომ არ შეხვდა რაიმე წყენა?

მოუსვენრობა აღგბეჭდიათ სახეზე თქვენა!

ფამუსოვი.

ოჰ! აი, ნახა გამოცანა და სასწაული!

მოწყენილი ვარ, დაღვრემილი!.. მაშ ჩემი ხნის კაცს.

ხომ არ შეშვენის ცეკვა? ბუქნას ხომ არ დავუვლი?

ჩაცკი.

სულაც არავინ გეხვეწებათ თქვენ ახლა ცეკვას !

მე მხოლოდ ორი სიტყვა გკითხეთ მსურდა გაგება,

სოფია პავლოვნა უქეიფოდ ხომ არ ბრძანდება?

ფამუსოვი.

თფუი!.. შემინდე, მეუფეო!.. ზუთი ათასჯერ.

ერთ და იმავეს იმეორებს და გაბეზრებს ტავს;

ხან ქვეყანაზე ჩემს სოფიას ტოლი არა ჰყავს,

ხან ავად არის სოფია და იმასა გკითხავს!

თქვი და გადასჭერ-.

მოგეწონა?

ქვეყანა მოვლე, ხომ არ გინდათ შეირთო ცოლად?

ჩაცკი.

მერე რად გასურთ თქვენ ამის ცოდნა?

ფამუსოვი.

ცუდს არ იზამდით, რომ მკითხავდეთ,--- გეტყოდით ამას;

ნათესავი ვარ სოფიასი----თუ გინდაც ოდნავ!

ტყუილად ხომ არ მიწოდებენ მე ამის მამას?

ჩაცკი.

ვთქვათ, რომ შევირთო, რას მეტყოდით? მსურს გამჟღავნება!

ფამუსოვი.

უპირველესად გეტყოდით, რომ ნუ ხართ თავნება,

მამულს ნუ უვლი უგულოდ, ძმავ, ნუ გეზარება,

და რაც ყველაზე მთავარია---შენც იმსახურე!

ჩაცკი.

მე სინარულით გავხდებოდი მოსამსახურე,

მსახურად ყოფნა კი მეჯავრება!

ფამუსოვი.

საქმეც ეგ არის , რომ ყველანი ხართ თამამები,

გეკითხათ როგორ იქცეოდნენ თქვენი მამები,

მაშინ უფროსთა შემხედვარე თქვენც ისწავლიდით !

ჩვენ, მაგალითად, ან ბიძაჩვენს---აწ განსხვავებულ.

მაქსიმ პეტროვიჩს,---ქვეყნის წესი რარიგად სწამდა?

არათუ ვერცხლზე, ის სულ ოქროს ჭურჭელზე სწამდა!

თან ასი კაცი მსახურებდა---ნეტარხსენებულს,

მთლად ორდენებში იჯდა და სულ ყევარ ცხენებს დაჰყავდათ!

სულ სასახლეში მსახურობდა, ვის სასახლეში?

ეკატერინე მეფის კარზე მსახურობდა, ის!

ო, მაშინ ისე კი არ იყო, როგორც დღეს არის:

იმ დროში ყველა მედიდურად იღწვოდა, რადგან.

ორმოცი ფუთი წონა ჰქონდა თვითეულ მათგანს!
თავს დაუკრავდი---ყურადღებას არ მოგაქცევდა,
ჩავარცხნილ ქეჩოს ერთ ბეწვსაც კი არ შეარხევდა!
დიდკაცობა ხომ, მით უმეტეს, სხვებს არა ჰგავდა:
სხვა ქცევა ჰქონდა, სხვანაირად ჭამდა და სვამდა!
თვით ბიძაჩემი!----თავადს და გრაფს რით არა სჯობდა?
სერიოზული იერი და მტკიცე ზნე ჰქონდა,
მაგრამ თუ დიდთა საამებლად საჭირო ოყო,
ისიც ცდილობდა----წელიწადში მდაბლად რომ მოხრილიყო!
სასახლეში, ერთ მიღების დღეს, ის უცაბედად.
თურმე წაიქცა, კეფა დაჰკრა, ემწარა მეტად.
და საწყალ მოხუცს ხრინწკიან ხმით აღმოხდა კვნესა,
მარგამ მეფემ შენიშნა ეს.
და უმაღლესი გაღიმებით დააჯილდოვა,
კეთილ ინებეს და დასცინეს!.. მან კი იდროვა,
ადგა, გასწორდა სალამისათვის ვით ითხოვს რიგი,
და ისევ, განგებ, მეორეჯერ წაიქცა იგი!
ხარხარი უფრო გაძლიერდა... მათ შესაჯერად.
კვლავ წაიქცა მესამეჯერაც!
ა? თქვენ რას იტყვით? ჩვენ ამას ვთვლით აზრშეწყობილად,
მწარედ დაეცა, მაგრამ ბოლოს წამოდგა ტკბილად!
სამაგიეროდ ვის იწვევდნენ იქ ვისთვისათვის?
ვისა ხვდებოდა ტკბილი სიტყვით სასახლის კარი?
მაქსიმ პეტროვიჩს!.. ვისა სცემდნენ ყველანი პატივს?
მაქსიმ პეტროვიჩს!.. დიახ, განა ხუმრობა არი?
ჩინს თუ პენსიას ვინ არიგებს, ვის უმაღლიან.
მაქსიმ პეტროვიჩს!..
მამ!.. აბა, თქვენ კი, ახლანდელეებს, რა შეგიძლიათ.

ჩაცკი.

თითქოს ქვეყანას დაუწყია გასულელება,
თქვენ შეგიძლიათ ამოხვრით ესრა თქვათ მწარედ,
როცა უწინდელ დროს ახლანდელ დროს შევადარებთ!
თუმც გამოცემა ახალია კაცს გეძნელება მის დაჯერება,
რომ მხოლოდ იმას ადიდებდნენ, მას ჰქონდა ბედი,
ვისაც ხშირ-ხშირად იხრებოდა მორჩილი ქედი!
რომ ომში კი არა, მშვიდობიან ცხოვრების ზღურბლებს.
შუბლით იღებდნენ, იატაკებს ურტყამდნენ შუბლებს!
ვისაც უჭირდა მათთვის წარბსაც არ შეარხევდნენ,
ხოლო მაღლა მდგომთ პირფერობის ქსელში ახვევდნენ!
პირდაპირ შიშის და მონობის დრო იყო ისა,
და ყველაფერი მეფისადმი ერთგულებისა.
და თავდადების ცრუ ნიღაბქვეშ იფარებოდა!
ნუ შევაშფოთებთ იმის ფერფლსა, მაგრამ ჩვენს დროში,
თუნდ მონურ ჟინით აღტყინებულ სულმდაბალ ბრბოში,
ვინ მოუსურვებს საკუთარი კეფა გაასწოროს იმისთვის, რომ ხალხი აცინოს?
ძოგი მის ტოლი მოხუცი კი შურით დნებოდა.
ამ მაღაყებზე და თავს, ალბათ, ეუბნებოდა:
ახ, ნეტავ მეც მხვდეს ეგ ბედო!.. თუმც მათი ჯიშის.
სულმდაბლები და პირმოთნენი კიდევ არიან,

მაგრამ დღეს იმათ დაცინვის და სირცხვილის შიში.
ალაგმავს ხოლმე და ტყუილად კი არა ხდება,
მეფეთა ჯილდო მათ დღეს უკვე ძუნწად რომ ხვდებათ!

ფამუსოვი.

ახ, ღმერთო შემო, ეს ნამდვილი კარბონარია!

ჩაცვი.

არა, სულ სხვაა ახლანდელი დრო და ცხოვრება!

ფამუსოვი.

საშიშარი კაცია ესა!

ჩაცვი.

უფრო ლაღად სუნთქავს დღესა!

ტაკიმასხარების პოლკში შესვლას არ იჩქარიან.

ფამუსოვი.

ერთი უყურეთ, რაებს რომავს ეს?

ისევე მკაცრად ლაპარაკობს, როგორც მკაცრად წერს!

ჩაცვი.

რომ მფარველობა მოიპოვონ მწყალობელთაგან,
ამთქნარონ მათთან ჭერზე ცქერით, სადილად დარჩნენ,
სკამი მიაართვეან მსახურივით და, ამას გარდა,
მათ მიაწოდონ ცხვირსახოცი, თუ დაუვარდათ!

ფამუსოვი.

თავისუფლება სურს იქადაგოს!

ჩაცვი.

ვინ მოგზაურობს და ვინ კიდეც სოფელში რჩება!

ფამუსოვი.

ეს მთავრობასაც კი არა სცნობს და ეურჩება!

ჩაცკი.

ზოგი კი საქმეს.

და არა ვინმე პიროვნებას ემსახურება...

ფამუსოვი.

ამ ვაჟბატონებს მე სასტიკად ავუკრძალავდი.

მოსკოვს ვერ მოსწვდნენ თოფის სასროლ ინტერვალამდღ.

ჩაცკი.

აწ დაგასვენებთ, თავმეწყენას აღარ გიპირებთ...

ფამუსოვი.

ძალა არ შემწევს, აღარ მყოფნის მე მოთმინება!

ჩაცკი.

თქვენ დროს ვკიცხავდი დაუნდობლად, თქვენცა გაქვთ ნება.

ჩვენი დრო, თუნდაც ნაწილობრივ, გაამათრახოთ და რამე ნაკლი გამოუნახოთ,

ასეც რომ იყოს როდი ვიტყვებ!

ფამუსოვი.

მე თქვენ არა გცნობთ. ველარ ვითმენ მაგ გარყვნილებას.

ჩაცკი.

მე ვთქვი, რაც მსურდა.

ფამუსოვი.

(ფურეში თითს დაიცობს).

კმარა, ყურები დაიცავი, თქვენს სიტყვებს არ ვცნობ!

ჩაცკი.

რატომ ინებებთ, მე იმათ ხომ არ შეურაცხვეყოფ?

ფამუსოვი (სხაპასხუპით).

დაწრწიან ქვეყნად, საქმისა კი არა რა ესმით,
დაბრუნდებიან და ელოდე ამათგან წესრიგს!

ჩაცკი.

მე დავასრულე.

ფამუსოვი.

შემიწყალე, გაჩუმდი, დროა!

ჩაცკი.

დავის განგრძობას, როგორც ხედავთ, არ გაიძულებთ.

ფამუსოვი.

სულის მოთქმა მაინც მაცალე!

გამოსვლა III.

მსახური (შემოდის).

პოლკოვნიკი სკალოზუბი!

ფამუსოვი.

(ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის).

შენ სასამართლო აგცდება ახლა?

იქ სცადე ეგრე კილვა და ჩხუბი!..

ჩაცკი.

თქვენთან ვილცა სტუმარი განლავთ!

ფამუსოვი.

არ გისმენ მეთქი, სასამართლოში!

ჩაცკი.

მოსახსენებლად კაცი გეაწლათ!

ფამუსოვი.

არ გისმენ მეთქი! სასამართლოში!

ჩაცკი.

მობრუნდით აქეთ, თქვენ გეძახიან!

ფამუსოვი (მოზრუნდება).

რაო? ჟანყია?

სწორედ რო ველი სოდომის ამბებს!

მსახური.

იქ პოლკოვნიკი სკალოზუბია,

როგორ ინებებთ! ვთხოვო მოზრძანდეს?

ფამუსოვი.

(წამოდგება) ვირები! ასჯერ გაგიმეოროთ?

მიიღეთ, სთხოვეთ... სთხოვეთ, მოზრძანდეს,

მოახსენეთ, რომ შინა ვარ მე და.

მისი სტუმრობა მანარებს მეტად!

აბა, იჩქარე!

(მსახური გადის).

შენ კი, ბატონო,

თუ ღმერთი გწამდეს, გთხოვ, დამიჯერე,

იმასთან მაინც ფრთხილად იმსჯელე!

დიდი კაცია, მეტად ქებული, მრავალი.

ჯილდო აქვს მიღებული.

და წლოვანების კვალობაზედაც.

სახარბიელო ჩინის პატრონი.

ბრძანდება, თანაც წესით და რიგით.

დღეს თუ არა ხვალ გენერლობასაც მიირებს იგი!

ისე რომ, მასთან ფრთხილად იყავი და.

მოკრძალებით გეჭიროთ თავი!

ეენ, ალექსანდრ ანდრეიჩ, ცუდად.

ირჯები, ძმაო!.. ის ჩემთან ხშირად დაბრძანდება.

და, შენც მიმიხვედი, რომ ყველა სტუმარს.

გულთბილად ვხვდები! ამ მოსკოვში კი,

ხომ ერთი-სამჯერ აზვიადებენ ყველაფერს,

და დღეს ლაპარაკობენ, რომ სკალოზუბი.

თითქოს სოფიას ცოლად ირთავდეს!

მოჭორილია... იქნება იგი.

სინარულითაც ცას დაეწიოს,

მე კი არ ვჩქარობ, რომ ჩემმა ქალმა.

ასე ადრიან საქმრო ეძიოს!

სოფია ხომ სულ ახალგაზრდაა,

თუმცა რაც ხდება უფლის ნებაა!

შენ კი, გეთაყვა, იმასთან მაინც.

ერიდე მიკიბ-მოკიბულ კამათს.

და ცრუ იდეებს... მაგრამ რა მოხდა,

რა მიზეზია, რომ კიდეც არ ჩანს?

ა! ალბათ ასე ჩემს ოთანში მოხვდა!

(საჩქაროდ გადის).

გამოსვლა IV.

ჩაცკი.

როგორ ფუსფუსებს!.. თავგზას ვერ იგნებს,

სოფიას ქცევაც მაეჭვებს... იქნებ.

მართლაც საქმრო ჰყავს ვინმე და მიტომ.

მე უცხოსავით გამირბის?..

ვინ არის ნეტავ ეს სკალოზუბი,
მამა რომ ასე ბოდავს, ხმაურობს?
ვაითუ მარტო მამა კი არა...
ახ! ის სიყვარულს გამოეთხოვოს,
ვინც სამ წელიწადს შორის მოგზაურობს.

გამოსვლა V.

ჩაცკი, ფამუსოვი, სკალოზუბი.

ფამუსოვი.

სერგეი სერგეიჩ! აქეთ, ჩვენს ახლოს,
აქ უფრო თბილა... მორჩილადა გთხოვთ!
ღუმელს სასულეს გადავხდი ახლავ.
და შეციებულს ხელად გაგათბობთ!

სკალოზუბი (ბოხი ხმით).

თქვენ მაგალითად მანდ აცოცებას.
ჩემი გულისთვის რატომ ინებებთ?
მრცხვენია, როგორც ნამდვილ ოფიცერს!

ფამუსოვი.

მეგობრისათვის უარს ხომ არ იტყვი,
ბიჯის გადადგმა კაცს თუ მოგიწევს?
სერგეი სერგეიჩ, ძვირფასო! აბა,

დადეთ ეგ ქუდი, შემოიხსენით.

დაშნა... აი, თქვენ დივანი სოფა,

და გთხოვთ, როგორც გსურთ, ისე მოთავსდით!

სკალოზები.

სადაც მიბრძანდებით, ოღონდ კი დაჯდეთ!

(სხდებიან სამნი, ჩაცკი მათგან მოშორებით იჯდა).

ფამუსოვი.

მართლა, გეტყვით, რომ არ დავიწყეთ:

ნება გვიბოძეთ, ჩვენ ისე ვიყოთ,

როგორც, თუნდ, შორი ნათესავები,

მემკვიდრეობას კი არ გაგიყოფთ...

არა! სხვა ამბავს გეტყვით უკეთესს:

თქვენ არა გცოდნიათ, მე მით უმეტეს.

და, თქვენს ბიძაშვილს დიდი მადლობა,

რომ მის წყალობით შევძელ გაცნობა.

რა ნათესავად მოგვხდებათ თქვენა.

ანასტასია ნიკოლაევნა?

სკალოზები.

ვერ გიპასუხებთ. მე ბოდიშს ვიხდი;

ჩვენ ერთად არსად გვიმსახურია!

ფამუსოვი.

სერგეი სერგეიჩ! თქვენ ბრძანებთ ამას?

ცოტა არ იყოს, უცნაურია!..

არა! ნათესავს მე ნოხვით ვეძებ,
ვიპოვი თუნდაც იყოს ზღვის ფსკერზე!
სამსახურშიც ასე მაქვს წესად:
იქ ძვირად ნახავთ არანათესავ.
მოსამსახურეს, იქ უმეტესად.
ღისწულებსა და ცოლისღის შვილებს.
სამუშაოზე მე მხოლოდ ვიღებ.
მე უცხო მარტო მოლჩალინი მყავს,
და ისიც მიტომ, რომ საქმე უყვარს!
თვითონა ბრძანეთ: ჯვარზე წარადგენ,
თუ ადგლს ნახავ რამ სარფიანსა,
როგორ არ უნდა ასიამოვნო.
კაცმა ნათესავ ადამიანსა?
მე თქვენს ბიძაშვილს ვმეგობრობ და მან.
ბევრი სიკეთე მიიღო ყველგან!

სკალოზუბი.

რვაას ცამეტში მე და მან ერთად.
გამოვიჩინეთ თავი ეგერთა მეოცდაათე ათასეულში,
შემდეგ ორმოცდამეხუთე პოლკად! რომ გადაკეთდა!

ფამუსოვი.

ბედნიერია მაგნაირი შვილის პატრონი!
ღილკილოში ორდენსაც კი ატარებს, მგონი?

სკალოზუბი.

სამი აგვისტოს გამო: მე და ის.

თხრილში ჩავსხედით, მტერს სისხლში ვბანდით,

მე კისერზე ჩამოსაკიდი.

ორდენი მომცეს, იმას კი ბანტით!

ფამუსოვი.

რა საყვარელი კაცი არის, როგორი ზრდილი,

როგორი ყოჩაღი!.. ჩინებული გყავთ ბიძაშვილი!

სკალოზუბი.

მაგრამ რაღაცა ახალ აზრებს აჰყვა! რა ჰპოვა?

ჩინი ელოდა, სამსახური უცებ დასტოვა.

და დღეს სოფელში წიგნებს კითხულობს!

ფამუსოვი.

აი, რას ნიშნავს.

როცა ყმაწვილ კაცს ცრუ აზრები გაიტაცებენ!

წიგნებს კითხულობს... მერე, უცებ ხელსა სტაცებენ!

აი, თქვენ სწორედ მოიქეცით! საქები კი ხართ,

ცოტა ხანია მსახურობთ და უკვე დიდი ხნის პოლკოვნიკი ხართ!

სკალოზუბი.

ამხანაგებში ბედი მწყალობს: ჩემთვის ადგილი.

სწორედ დროზე დაცლილი მხვედბა:

ზოგს, ჩინით უფროსს, უცებ ხსნიან, ზოგიც, ხედავ,

ბრძოლაში კვდება!

ფამუსოვი.

ასეა: ღმერთი ვისაც კი წყალობს,
თვითონ მოსძებნის, რომ აამაღლოს!

სკალოზუბი.

ზოგს ბედი ჩემზე მეტად უჭრის: ძბენა რად უნდა?
ჩვენი ბრიგადის გენერალი ავიღოთ თუნდც!

ფამუსოვი.

აბა, რას ბრძანებთ! თქვენ რა გაკლიათ?

სკალოზუბი.

არ მივიწყებენ, თუმც სანამ პოლკს ჩამაბარებინებენ.
ორ წელს ველოდი!..

ფამუსოვი.

განა მართო პოლკზეა საქმე?
სამაგიეროდ, სხვა რამეში, თქვენი ტოლები.
შორს მოიტოვეთ და ჯერ უკან მოგჩანჩალებენ!

სკალოზუბი.

არა, კორპუსში ჩემზე უფრო ძველებსაც ნახავთ,
მე რვაას ცხრიდან ვმსახურობ მხოლოდ;
ჩინის საშოვრად ერთობ ბევრი ხვრელია ანლა,
მე მათზე სწორედ ჭეშმარიტი ბრძენივით ვმსჯელობ,

ოღონდ გენერლის ჩინს მივალწიო!

ფამუსოვი.

მშვენივრად მსჯელობთ! ცრუ დიდების როდი გაქვთ ჟინი!

უფალმა მოგცეთ ჯანმრთელობა და გენერლის ჩინი!

მერე კი, რაღა შორს გადავდოთ და ვიარაკოთ, გენერალშაზეც ვილაპარაკოთ!

სკალოზუბი.

ცოლი შევირთო? მერე უარს მე ვამბობ განა?

ფამუსოვი.

მერე? ზოგს და ჰყავს, ზოგს დისწული, ზოგს ქალიშვილი,

ამ მოსკოვში ხომ საპატარძლო ურიცხვი არი,

თან წლითიწლობით სულ იზრდება იმათი ჯარი!

არა, გეთაყვა, გამოტყდით, რომ ზღვებს გადალახავთ,

მოსკოვთანა სატახტოს კი ვერსადა ნახავთ!

სკალოზუბი.

უზარმაზარი დისტანციით არის გაშლილი!

ფამუსოვი.

გემოვნება თქვით, ჩემო კარგო, უცხო მანერა,

ყველაფერს თვისი კანონი აქვს, წესი და რიგი:

აი, ვთქვათ, ჩვენში დადგენილი თავიდანვე გვაქვს,

რომ პატივს მუდამ მამის კვალზე ლებულობს შვილი!

დე, თუნდაც იგი ცუდიც იყოს, მაგრამ თუკი გვარისეული.

ორიოდ ათას სულამდე ყმა მოუგროვდება, საქმროც ის არის ღირსეული!

სხვა კი, თუნდაც რომ ყოჩაღი და თავაწეული იყოს, თუნდ ჭკუით.

ტრაბანობდეს ნუ გაირჯება:

ვერ გაგვაკვირვებს, მისთვის კარი არ გაიღება!

აქ ხომ ჯერ დიდ ფასს დებენ თავად-აზნაურს და ღირსებას.

კეთილსაცნაურს.

განა მარტო ეს? ჩვენს პურ-მარილს და მოღბინებას,

ჩვენს გულუხვობას აღარ იტყვიო? თუკი სტუმრბას.

ვინმე ისურვებს ჩვენს იჯანში კეთილ ინებოს:

კარი ღიაა წვეულთა და უწვეველთათვის,

და უფრო კი უცხოელთათვის!

პატიოსანი აქვთ თუ არა იმათ წადილი,

ჩვენთვის ერთია: ყველასათვის მზად გაქვთ სადილი!

თავით ტერფამდის თუ გასინჯავთ ყველა მოსკოველს.

განსაკუთრების დაღი აზის მათს ქცევას ყოველს!

გნებავთ, შეხვდეთ ჩვენს ყმაწვილებს, ახალგაზრდობას:

ჩვენ შვილიშვილებს, შვილებს, ყრმებსა და ჭაბუკობას:

მათ ვტუქსავ, მაგრამ შეხედე და საქმით იცანი:

მასწავლებელსაც კი გაწვრთნიან თხუთმეტ წლისანი!

ახლა მოხუცნი? რაკი ერთი აღეძვრით ჟინი,

განიხილავენ და განსჯიან ხოლმე ისინი ყოველგვარ.

საქმეს, რაც კი ღვთისგან განაჩენია, მათი ყოველი სიტყვა თითქოს განაჩენია!

წარბს რა შეხრიან და მიზეზიც საცნაურია:

ყველა მათგანი აქ ხომ ტახტის აზნაურია!

ზოგჯერ მთავრობის შესახებაც კი კამათობენ!

ისე თამამად, გაბედულად მასლაათობენ,

რომ თუ მათ ვინმემ ყური მოჰკრა... მაშინ მშვიდობით!..

განა ახალი რამ სურს ვისმე რომ დაგვიმყაროს!

ო, არასოდეს! შისხლისგან ცამ დაგვიფაროს!

მხოლოდ ისე აიშლებიან, დავობენ აქეთ-იქითურზე, ხან არაფრზე,

ახირდებიან, უჩხუბებენ, უხმაურებენ და... ისევე დაიშლებიან!

ჭკუით პირდაპირ კანცლერსა ჰგავს ყველა მათგანი,

თანამდებობით თუმც გადამდგარი.

ამასაც გეტყვით: ჩანს, ისეთი დროც დაგვიდგება, რომ საქმე მაინც.

უიმათოდ არ დარიგდება!

ახლა ქალები? შცადოს ვინმემ და მორჯულება მოიწადინოს მათი.

თუნდაც იოტისხელა! ყველგან და ყველას თვით მსაჯულობენ.

ვინღა ჰყავდეს მათ მსაჯულებად?

როცა ბანქოს დროს ერთიანად აჯანყდებიან, უფალმა მოგცეთ.

მოთმინება!.. ეს ასე ორი, გამოცდილი მაქვს მე ზომ თვითონ.

ვიყავი ქმარი! ფრონტის სარდლობაც რომ უბოძოდ, არ შედრკებიან!

თუნდაც სენატში გააგზავნოთ დაგთანმდებიან.

ირინა ვლასიევნა, ლუკერია ალექსეევნა,

ტატიანა იურიევნა, პულხერია ანდრეევნა!..

ქალიშვილების მნახველი ზომ მთლად განცვიფრდება,

თავს ჩაჰკიდებს და ჩაფიქრდება! მათი უდიდებულესობა.

პრუსიის მეფე იყო ერთხელ და პირდაპირ მოხიბლა იგი.

მოსკოველ ქალთა არა სახის ტურფამზეობამ,

არამედ მათმა იშვიათმა კეთილზნეობამ!

მართლაცდა განა შეიძლება რომ უკეთესად.

აღზრდილი იყოს ვინმე? აბა, ჯერ ნახეთ ესა:

როგორ კოპწიად ეწყოებიან, როგორ ამკობენ,

თავის გარეგნობას დიბა-სტავრით რაგვარ მორთავენ !

სიტყვას უბრალოდ, ბუნებრივად არ გამოთქვამენ.

სულ გაპრანჭულად ლაპარაკობენ!

ფრანგულ რომანსებს რომ მღერიან მაღალ ნოტებით.

გრძნობით ბნდებიან!

სამხედრო ხალხს რომ სულ ერთთავად ზედ ადნებიან.

და ეს იმიტომ, რომ არიან პატრიოტები!..

არა! გადაჭრით ვამბობ და კვლავ გავიმეორებ:

არა მგონია, მოსკოვისტანა რომ მოიხსნას სხვა სატახტო კიდევ მეორე!

სკალოზუბი.

ასე მგონია, ხანძარმა დიდად.

შეუწო ხელი მის გამშვენებას!

ფამუსოვი.

ნულარ ინებებთ თქვენ გახსენებას:

გამშვენება მეტილა გინდათ?

მას შემდეგ, ბოლო დროს აღარც კი უჩანს.

გზების გაყვანას, ქვითნაფერ ქუჩებს,

სახლების ახალ წესზე შენებას.

ჩაცკი.

სახლები თუმცა ახლია, ცრურწმენები ძველი, საზარი,

შემოგრჩენიათ, გიხაროდეთ, მათ ვერ მოსპობენ.

ველარც მოდები, ვერც წლები და ველარც ხანძარი!

ფამუსოვი (ჩაცკის).

ეი! ხსოვნისათვის ნასკვი შეკარი;

გთხოვე, სიჩუმე განა ეგ არი?

(სკალოზუბს) ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ:

განსვენებული ჩემი მეგობრის ანდრეი ილიჩ ჩაცკის შვილია!

არა მსახურობს, ესე იგი, მის სარგებლობაზე გულაყრილია!

მაგრამ რომ სურდეს, მაშინ ეს, მართლაც,

ჩაითვლებოდა თავიანთ კაცად! მებრალვის დიდად, გულით.

მებრალვის, თანაც, როგორ წერს, როგორა თარგმნის!

არ შეიძლება არ შეგებრალოს,

რომ ასეთ ჭკუის პატრონიკაცი...

ჩაცკი.

არ შეიძლება, რომ თქვენ ვინმე შეიბრალოთ?

თქვენი ქებაც კი მე გულითა მწყინს!

ფამუსოვი.

განა მართო მე---ყველა ასე სჯის!

ჩაცკი.

მერე მსაჯულნი ვინ არიან? მიხრწნილებისგან.

თავისუფალი ცხოვრების მტრად გადაცეულან!

აზრებსა კრეფენ ძველისძველი გაზეთებიდან,

რაც კი ყირიმის დაპყრობის და ოჩაკოვის დროს.

გამოცემულა!

მუდამ მზადა აქვთ მათ ჩვენთვის კიცხვა,

ერთ და იმავე ჰანგს მღერიან---ჩლოუნგს და გესლიანს,

თავის თავზე კი არა სურთ კითხვა,

რომ ჩამორჩენა მათი---უფრო უარესია!

აბა, გვიჩვენეთ სად არიან ქვეყნის მამები,

რომ მათ მივბაძოთ და ვისწავლოთ მათი ქველობით?

ისინი ხომ არ ბრძანდებიანვინც მძარცველობით.
გადმიდრებულია და სჯის ქრთამებით?
ნათესავთა და მეგობრების წყალობით იმათ.
მართლმსაჯულების განაჩენი აუცდენიათ და.
მშვენიერნი სასახლენი წამოუჭიმავეთ,
სადაც ლხინსა და ფლანგვაში დრო არ უცდენიათ,
სადაც კლიენტი უცხოელნიც ვერ აღადგენენ.
მათი ცხოვრების მუხთლობას და საზიზღარ ნაშთებს!
ან კი მოსკოვში ვინ გარადჩა ისეთი, ვისაც.
სადილ-ვახშმებით და ცეკვით არ უკრავდნენ პირსა?
ან, იქნებ, ის გყავთ მისაბაძი, ვისთან თვით მეცა.
გაუგებარი ზრახვით ერთხელ ჯერ ისევ ბალდი.
წამიყვანეთ, რომ მისთვის მდაბლად თაყვანი მეცა?
ის მეთაური წარჩინებული არამზადების,
ხმა-მსახურებით შემორტყმული რომ ბრძანდებოდა,
რომელთაც იგი, ერთგულებით და თავდადებით.
ბევრჯერ დაიხსნეს, რომ სიკვდილი ელოდებოდა.
და მას კი მათი ეს სიკეთე რას ანაცვალა?
უცებ ისინი სამ ბეძებარ ძაღლზე გაცვალა!
ან იქნებ ის თქვათ, ვინც უცნაურ თავშესაქცევად.
ყმების ბალეტის გასამართად დაუწიოკა.
მშობლებს ბავშვები, მოსტაცა და ჩამოირეკა!
ჭკუა-გონებით მოხიბლულმა უცხო ჩვენებით,
ამურებით და ზეფირებით გატაცებულმა,
თვითონ მოსკოვიც განაცვიფრა მათი მშვენებით!
მაგრამ ამითაც ვერ მოაღბო მეველეები,
მათ სახეზე ვადა მეტად აღარ განუგრძეს, ხოლო.
ის ამურები და ზეფირები, თვითეულად გაყიდა ბოლოს!

აი, ისინი, ვინც დაბერდნენ ამგვარ ყოფაში,
აი, ვის უნდა ვცემდეთ პატივს უკაცობაში,
აი, ის ჩვენი მკიცხველნი და მკაცრი მსაჯულნი!
და, ახლა ჩვენში ახალგაზრდა თუ გაჩნდა ვინმე,
ვინც ადგილს არ გთხოვთ, არც ჩინებით---ბედნიერებას,

ცოდნის წყურვილით ჩაუჯდება მეცნიერებას,
ან თვით განგება აანთებს მის სულში ნაპერწკალს.
უმაღლესი და შემოქმედი ხელოვნებისას,
ისინი მუდამ განგაშს სტეხენ, ესხმით თავზარი:

არიქა, ჩქარა, ყაჩაღები, ცეცხლი, ხანძარი!
და მონათლავენ მას საშიშარ მეოცნებედა!
მუნდირი მხოლოდ! მუნდირი და სხვა არაფერი,---.
ზიზილ-პიპილა, ლამაზი და კოხტად ნაკერი,
ისა ჰფარავდა ძველ ყოფაში მათს სულმდაბლობას.
და მათი აზრის სილატაკეს, მაგრამ მადლობა უფალს,
რომ ისიც მათს კვალსვე გაჰყვა, გზა მშვიდობისა!
თვით გაუთხოვარ, ყმაწვილქალებსაც.
თვით მანდილოსნებს, გათხოვილ თუ ქალწულ ქალებსაც.
მხოლოდ მუნდირი სჭრიდა თვალებსა!
თვითონ მეც, განა, მუნდირისთვის ბრმა არ ვიყავი?
და დიდი ხანი როდია, რაც ის უარყავი,
დღეს ეგ ბავშობა აღარ მხიბლავს, ვიტყვი მხოლოდა:
ვინ იქნებოდა, რომ მათ უკან არ გაჰყოლოდა,
როს გვარდიელნი ან სასახლის გვარდიონები.
გამოვიდოდნენ მოსკოვს დროებით?
ქ ა ლ ბ ი

ვაშას ყვიროდნენ მაშინ.

და ქუდ-მანდილებს ისროდნენ ცაში!

ფამუსოვი (თავისთვის).

მე ეს განსაცდელს შემამთხვევს მრავალს!

(სკალოზუბს) სერგეი სერგეიჩ! მე ეხლა წავალ.

და კაბინეტში დაგელოდებით!

(გადის).

გამოსვლა VI.

სკალოზუბი, ჩაცკი.

სკალოზუბი.

მომწონს, ასეთი აღზნებით და თავგამოდებით რომ.

იხსენიებთ მოსკოველთა უკუღმართ აზრებს,

მათს აღტაცებას გვარდიით და გვარდიონებით,

მზეებრ ლაპლაპა ტანჩაცმულობით!

მაგრამ პირველი არმია კი რით ჩამორჩება?

იქაც ზომ აგრე.

წელგაწკეპილი ტანსაცმელი კოპწიათ ამკობთ.

მე ჩამოგითვლით ოფიცრების თითქმის მთელ რაზმებს.

რომ ზოგიერთი ფრანგულადაც კი ლაპარაკობს!

გამოსვლა VII.

სკალოზუბი, ჩაცკი, სოფია, ლიზა.

სოფია.

(მირბის ფანჯრისკენ).

ოხ, ღმერთო ჩემო, გადმოვარდა, მოკვდა!..

(გული წაუვა).

ჩაცკი.

ვინა? ვინ მოკვდა?

სკალოზუბი.

ვის შეემთხვა უბედურება?

ჩაცკი.

ეს აღარ არის შიშით ცოცხალი!

სკალოზუბი.

ვინ და საიდან? ბრძანებთ, რა მოხდა?

ჩაცკი.

რაზე დაეცა, რა იკინა?

სკალოზუბი.

ბერიკაცი ხომ არ ჩავარდა სადმე საწყალი...

ლიზა.

(სოფიას გარშემო დაფუსფუსებს).

ვისაც ბედისგან რა უწერია,

ის არ ასცდება საგანგებოდა:

მოლჩალინი ცხენზე ჯდება,

მან უზანგში ფეხი რომ შესდგა,

ცხენი დაუფრთხა და ყალყზე შედგა,

ის კი მიწაზე გადმოვარდა და კეფა დაჰკრა.

სკალოზუბი.

სადავეები მოუჭიმავთ ზომაზე მაგრა !

რაც ცხენოსანი ეგ მყავდა? წავალ, შევხედავ ერთი,

როგორ დაასკდა, ან რა დაჰკრამკერდი თუ გვერდი?

(გადის).

გამოსვლა VIII.

იგივენი, სკალოზუბის გარდა.

ჩაცკი.

რითი ვუშველოთ? მითხარი, მალე.

ლიზა.

ოთახში შედით, იქ არის წყალი!

(ჩაცკი გარბის და წყალი შემოაქვს. მათი შემდგომი ლაპარაკი.

ჩურჩულით მიმდინარეობს მანამდე, ვიდრე სოფია გონს მოვა).

ლიზა.

აავსეთ ჭიქა.

ჩაცკი.

სავსეა ისა!

ყაითნის ნასკვი მოუშვი კიდევ.

საფეთქელზე ძმრით დაუზილე და.

წყალი აპკურე!

შენედე, სუნთქვა გაუადვილდა!

რით შეიძლება მოუნიავო?

ლიზა.

აი, მარაო!

ჩაცკი.

გადახედე სარკმელს! დიდი ხანია,

რაც მოლჩალინი ფეხზეა უკვე,

ეგ კი გულს იხეთქს სულაც ამოდ!

ლიზა.

დიახ, ქალბატონს ასეთი სათნო.

ხასიათი აქვს, ვიცი უწინვე:

გული ვერ უთმენსთუ დაინახა,

რომ კისრისტეხვით ვარდება ვინმე!

ჩაცკი.

კიდევ ასხურე წყალიო! ჰო, მაგრა,

კიდევ, კიდევ!

სოფია (ღრმად ამოიოხრებს).

ვინ არის აქა?

თითქოს სიზმარში ვიყო... არა! (აჩქარებით და ხმამაღლა).

სად არის იგი? როგორ არის? მითხარით ჩქარა!

ჩაცკი.

იმას კისერიმც უტეხიარას აგიყოლიათ?

ცოტას გადარჩა, კინაღამ თან გადაგიყოლიათ.

სოფია.

მაგ გულცივობით მკვლელს მაგონებთ...

აღარა მაქვს თმენა,

რომ ან გიცქეროთ და ან კიდევ გისმინოთ თქვენა!

ჩაცკი.

როგორ მიბრძანებთ? მის მაგიერ ვიტანჯო?

სოფია.

არა!

იქ გაიქეცით, შეეცადეთ, უშველეთ ჩქარა.

ჩაცკი.

რომ თქვენ მარტოკა მიგატოვოთ, დაუნმარებლად?

სოფია.

მე რად მინდიხართ?

მაგრამ, ალბათ, ასე ჯობია:

სხვის მწუნარება თქვენთვის მხოლოდ გასართობია!

ღვიძლი მამაც რომ გიკვდებოდეთ, თქვენ მშვიდად ზიხართ!

(ლიზას) წამო ჩქარა, იქით გავიქცეთ!

ლიზა (სოფიას ცალკე გაიყვანს).

გონს მოდით, საით გარბიხართ?

ის ცოცხალია, ჯანსაღი და საღსალამათი;

აი, ფანჯრიდან გადიხედეთ, რასა ვკამათობთ?

(სოფია ფანჯარაში თავს ყოფს და იყურება).

ჩაცკი.

გულის წასვლა და შიში, წრიალი!

ეს ჩვეულებრივ ჩოჩქოლსაც არ ჰგავს:

ასე იქცევა ადამიანი,

როცა ერთადერთ მეგობარს კარგავს!

სოფია.

აქეთ მოდიან! შეხე, ის ხელს ვეღარ სწევს მაღლა!

ჩაცკი.

ნეტავ მისთან მოვმკვდარიყავ თვითონ მეც ახლა!

ლიზა.

ხათრის გულისთვის? საქმით თუ სიტყვით?

სოფია.

მაგ სურვილზე უარს ნუ იტყვით!

გამოსვლა IX.

სოფია, ლიზა, ჩაცკი, სკალოზუბი, მოლჩალინი.

(მოლჩალინს ხელი ახვეული აქვს).

სკალოზუბი.

აღსდგა უვნებლად, ხელი აქვს ცოტა.

დაშავებული, მსუბუქად... ჰოდა,

სულ ყალბი იყო ეს ამდენი ალიაქოთი!

მოლჩალინი.

მე მეტისმეტად შეგაშინეთ, ღვთის გულისთვის,

გთხოვთ მომიტევოთ!..

სკალოზუბი.

ჰო, აბა, მე რას, რას მივხვდებოდი,

რომ ამისათვის აგრერიგად შეწუხდებოდით?

გაქანებული შემოვარდით, ჩვენ შევკრითთ ამაოდ!

თქვენ უცებ გრძნობა დაგეკარგათ რა გამოვიდა?

აურზაური არაფრის გაოს!..

სოფია (არავის უყურებს).

ან! შულ ტყუილად შევწუხდი, იცით,

მაგრამ ახლაც კი ვკანკალებ შიშით!

ჩაცკი (თავისთვის).

მოლჩაღინს სიტყვით კი არ უთხრა, არც კი ახსნა!

სოფია (იმავ კილოზე).

ჩემ შესახებ კი მოგახსენებთ,

რომ მშიშარა სულ არ განლავართ. ზოგჯერა ხდება,

რომ კარეტა გადაბრუნდება ხოლმე,

ააყენებენ, გამართავენ ისევე, ხოლო.

მე მზად ვარ, რომ კვლავ გავაქროლო!

მაგრამ სხვის საფრთხე მაშინებს და გულზედა.

მხვდება, თუნდ დიდი მარცხი არ ელოდეს, მაინც.

უგრძნობი მე ვერ შევხვდებიანცნობია ის თუ უცნობი!

ჩაცკი (თავისთვის).

პატიებას სთხოვს, რომ ერთხელ ვიღაც შესცოდებია!

სკალოზუბი.

ნება მიბოძეთ, ამბავი გითხრათ:

აქ, თურმე ქვრივი ყოფლა ერთი,

კარგ მოჯირითეს მოგახსენებენ,

თუმც არვის ახსოვს, თუნდ ერთხელ იმას.

გამცილებლები ხლებოდნენ გვერდით!..

ის ამ დღეებში გადმოჩენილა,
საცოდავი, მთლად დაჩეჩქვილა!
ჟოკეიც, აბა, რას უშველიდა,
ჩანს, იგი ამ დროს ბუზებსა თვლიდა?
უმისოდაც ტლანქი რამ განლავთ და.
გვერდებიც რომ დაემტვრა ქალსა,
თურმე ყავარჯნად დაეძებს ქმარსა!

სოფია.

აი, ალექსანდრ ანდრეიჩ, ახლა.
სულ მაღალ მხსნელად მოვევლინებით!.

თქვენს მახლობელთა უბედურებას.
თქვენ ხომ ვერ უცქერთ გულდამშვიდებით.

ჩაცკი.

დიახ, ეს ახლაც დავამტკიცე, წარმოიდგინეთ:
როს გულმოდგინე მომსახურებით,
საფეთქლის ზელით, წყალის სხურებით,
არ ვიცი ვისთვის, მაგრამ მაინც კი აღვადგინეთ!
(აირებს ქუდს და გადის).

გამოსვლა X.

იგივე, ჩაცკის გარდა.

სოფია.

საღამოზე ხომ იქნებით ჩვენთან?

სკალოზუბი.

რა დროს მიბრძანებთ?

სოფია.

ადრე ჯობს: ველით შინაურთა და მეგობართა,
ფორტეპიანოს დავუკრავთ და ისე ვიცეკვებთ,
მგლოვიარედ ვართ, თქვენ ხომ იცით, ბალს ვერ გავმართავთ!

სკალოზუბი.

მე გაახლებით, მაგრამ ახლა მამათქვენს უნდა პირობისამებრ შევუაროგამოსათხოვრად.

სოფია.

მშვიდობით!..

სკალოზუბი (მოლჩალინს ხელს ართმევს).

მიგულებდეთ ერთგულ მსახურად!

(გადის).

გამოსვლა XI.

სოფია, მოლჩალინი, ლიზა,

სოფია.

მოლჩალინი! ჭკუა როგორ შემრჩა? არ იცით, განა.

თქვენი სიცოცხლე ჩემთვის რარიგ ძვირფასი არი?

მაშ რად თამაშობთ სიცოცხლესთან? ერთი მითხარით.

ხელი როგორ გაქვთ? მოსვენება არა გჭორდებათ?

წვეთები ხომ არ გინდათ მოგცეთ? დაგიმშვიდდებათ;

ექიმს მოუხმოდ დაყოვნება არ შეიძლება!

მოლჩალინი.

მე ხელსახოცით შევიხვე და აღარ მტკივა!

ლიზა.

ნაძლევს ვდებ, რომ სისულელეა:

თუ არ უხდება, ჩანს, შეხვევაც არა სჭირდება,

მაგრამ, თქვენ კია, მართალს გეტყვითარ აგცილდებით.

მითქმა-მოთქმა, ჩაცკი დაგცინებთ, თუნდაც, ამაზე,

სკალოზუბი კი იმ ქოჩორს რომ შეათამაშებს.

თქვენ გულისწუნილს ასნაირად შეალამაზებს.

მარჯვედა ხუმრობს, თუმც ჩვენში ვინ არ ხუმრობს ახლა?

სოფია.

მერე მათ ნათქვამს რა სიბრძნედ ვითვლი?

მინდა და მიყვარს,

მოლჩალინი! განა მე თავს ძალა არ დავატანე?---

თქვენ შემოხვედითვერც შემოგხედეთ,

სიტყვა, თუნდ კითხვავერ შემოგბედეთ.

და მათ წინ მე ეს სუნთქვა შეკვრდით გადავიტანე!

მოლჩალინი.

არა, სოფია პავლოვნა, თქვენ მეტისმეტად გულახდილი ხართ!

სოფია.

გულჩათხრობილი სიდან გავხდე? იმ წუთს მზად ვიყავ.

რომ თქვენ საშველად ტვით ფანჯრიდან გადმოვმხტარიყავ.

რას დაგიდევდით რას იტყოდა ხალხი, ქვეყანა?

სასაცილო ვარ? დე, დამცინონ, სწყინთ? გამკიცხონ,

კკითხულობ განა?

მოლჩალინი.

ბოროტი ენა დამბაჩაზეც საშიშარია!

ლიზა.

ისინი მამათქვენთანა სხედან.

და ახლა თქვენს რომ იქ შეცქრილდეთ.

მხიარულ სახით და უდარდელად.

შესძლოთ იმათთან თავის დაჭერა,

მით ეჭვს გაფანტავთ, თუ დამიგდებთ ყურს:

როცა გვეტყვიან იმას, რაც ჩვენ გვსურს,

უფრო მტკიცედ და ხალისით გვჯერა!

ჩაცკიც იქ არის! სიტყვა გადუგდეთ,

სიყრმის დრეებზე გაესაუბრეთ და ყველაფერზე.

მზად არის ისიც,

რომ დაგიჯეროთ, თქვენს კარგად იცით:

ღიმილი, სიტყვა ალერსით თქმული.

და შეყვარებულს მოუღბა გული!

მოლჩალინი.

მე რჩევასაც კი ვერ გაგიბედავთ! (ხელს უკოცნის:).

სოფია.

თქვენ გინდათ? წავალ, რომ ცრემლებქვეშ სხვებთან გავერთო,

პირფერ ალერსით, მაგრამ მაინც ვერ შევძლებ, ვხედავ.

რად მოგვივლინე ამ დროს ჩაცკი, მაღალო ღმერთო?

(გადის).

გამოსვლა XII.

მოლჩალინი, ლიზა.

მოლჩალინი.

რა მხიარული ქმნილება ხარ! სიცოცხლევ, ღზუნავ!

ლიზა.

ქალბატონილა?

მოლჩალინი.

თანამდებობის გამო, შენ კი... (უნდა რომ მოეხვიოს).

ლიზა.

რომ არ მოიწყინოთ?

გთხოვთ, ხელები შორს დაიჭირეთ!

მოლჩალინი.

სამი რამ უცხო ნივთი მაქვს ცალკე:

არის იქ კონტა სატუალეტო.

ბრძნულ ნახელავი, ბრძნულ იარაღით:

გარეთ სარკე აქვს, შიგნითაც სარკე,

ირგვლივ კი ჭრილიოქროს ვარაყით!

არის ბალიშიმძივით ნაქარგი,

თვლილი სადაფის კონტა ნივთებით,
მაკრატელი და სანემსეკარგი,
მთლად მოოქვილი მარგალიტებით!
არის აგრეთვე ტუჩების საცხი.
და სხვა მიზნებისთვის უმარილიცა,
ბროლის შუშებით ნელსაცხებელი,
სურნელოვანი ვარდ-ყვავილებისა!

ლიზა.

მე არ გახლავართ საჩუქრის ხარბი,
მაგრამ ისა ჯობს მითხრათ ახლა კი:
თქვენ ქალბატონთან მუდამ რომ მორცხვობთ,
გოგოსთან რად ხართ ასე ეშმაკი?

მოლჩალინი.

დღეს ავადა ვარ , შეხვეულ ხელს მე ვერ გავიხსნი!
სადილობისას მოდი ჩემთან, მარტოკა დავრჩი და მთელ.
სიმართლეს მაშინ აგიხსნი!
(გვერდის კარიდან გადის).

გამოსვლა XIII.

სოფია , ლიზა.

სოფია.

ვიყავ მამასთან, მაგრამ იქ სულ არავინ დამხვდა,

დღეს ავადა ვარ და სადილად ვერ შევალ მათთან.

წადი, მოლჩალინს დაუძახე, მოვიდეს ჩემთან!

(გადის თავისი ოთახისაკენ).

გამოსვლა XIV.

ლიზა.

აი, რა ხალხი ყოფილა აქეთ!

ეს იმას ეტრფის, ის კი მე მაქებს!

და მე კი... მეკი ეს სიყვარული.

სიკვდილის მსგავსად მაფრთხობს და.

მიჭირს, მაგრამ როგორ არ უნდა მიყვარდეს.

ის მებუფეტე პეტრუშკა ბიჭი?

მეორე მოქმედების დასასრული.

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ბუზლუნა, მაგრამ უბოროტია,

ნუ ფიქრობთ, მისგან გული გეტკინოს!

ჩ ა ც კ ი.

სასაცილოა, თქვენ რომ გეწყინოთ:

პატიოსნების გარდა, ისეც ზომ.

სხვა სიხარულით ბევრნი სტკბებიან:

აქა გლანძღავენ, იქ მაღლობას გეუნებიან!

პ ლ ა ტ ო ნ მ ი ხ.

არა, ძმავ, ჩვენში ყველგან ლანძღვენ.

მაგრამ მაინც კი სტუმრად რაცხავენ!

(ზაგორეცკი სტუმრების ჯგუფში შეერევა).

გ ა მ ო ს ვ ლ ა 10.

იგინივე და ხლიოსტოვა.

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

სამოცდა ხუთი წლის ქალისთვის.

ადვილი არ არის, ჩემო დისწულო,

ამ სიშორეზე შენთან მოსვლა? სატანჯველია,

მთელი საათი, პოკროვიკიდან ძლივს მოვალწიე,

არაქათი გამომელია!

უკუნეთია სწორე დეს ღამეც...

რომ არ მომწყდეს ჩემი გოშია.

და ზანგი გოგოც წამოვიყვანე.

შენ გეთაყვანე.

ალბათ, მოშივიათ,

უბრძანე, რომ აჭამონ რამე,

ნასუფრალი რამ მიაწოდე.

საღამო მშვიდობისა, კნეინა! (ჯდება).

ახ, სოფიკო, შენ რომ იცოდე,

რა ზანგი გოგო მომიყვანეს: ხუჭუჭთმიანი,

სულ რაღაც კატის მიხრა-მოხრით, ბეჭ-კუზიანი,

თან რა შავია, თან რა ავია!

ქვეყნად რა მოდგმას არ აჩენს ღმერთი!

გაჩვენა ერთი,

ემშაკის მსგავსი სანახავია!

საქალებოში დატოვე უზმოდ.

გინდა აქ უხმო?

ს ო ფ ი ა.

ჯერ არა. სხვა დროს!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

წარმოიდგინე, მათ მხეცებივით.

თურმე ქუჩებში ხალხს აჩვენებენ;

იქ... თურქის ქალაქს მოგახსენებენ,

ეს გაგონილი თვით მეც კი მაქვს...

და მერე იცი, ვინ მისახსოვრა?

ანტონ ანტოჩინ ზაგორეცკიმა!

(ზაგორეცკი წინ წამიწევს).

ცრუ არის, ქურდი და ყომარბაზი!

(ზაგორეცკი მიიმალეობა).

მაგას კარსაც კი ვუკეტავ რაზით,

მაგრა სამასხუს მარჯვედ გაგიწევს:

მან მე და ჩემს დას.... პრასკოვიასა.

ეს ორი ზანგი გოგო მოგვართვა;

იარმონკაზე ვიყიდეო, __ თქვა!

რა ვიცი, ღმერთმა მშვიდობა მისცეს,

მართლა იყიდა, თუ მან ბაქოში.

ვისმეს ცუდლუტად ხელი აუკრა?

მე კი ვმადლობ, რომ დამასაჩუქრა!

ჩ ა ც კ ი.

(ხარხართ მიმართავს პლატონ მიხაილოვიჩს).

ამგვარი ხოტბა- კიცხვისაგან ვერ დაიფარავს,

თვით ზაგორეცკიმ ვერ გაუძლო და გაიპარა!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

ვიანა ბრძანდება ის მხიარული?

რა წოდება აქვს? მითხარი შვილო!

ს ო ფ ი ა.

ის? ჩაცვი გახლავთ!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

მერე? რა ნახა აქ სასაცილო?

რა უხარია? განა არ იცის,

ცოდვია, როცა ბებერს დასცინის?

შენ ბავშვობაში ხშირად ცეკვავდი.

მაგასთან და მეც, უკმაყოფილო,

ყურებს უწევდი, მაგრამ ეს თურმე,

ცოტა ყოფილა!

გ ა მ ო ს ვ ლ ა XI.

ი გ ი ნ ი ვ ე და ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ფ ა მ უ ს ო ვ ი (ხმამალა).

ჩვენ თავად პიოტერ ილიჩს იქ ველით.

და თავადი კი უკვე იქ არის!

მე იქ შევრფეხდი, საპორტრეტოში,

სერგეი სერგიჩ სკალოზუბი კი.

ნეტავ სად არის?

მგონი არ არის, თორემ აქამდის,

ცნობილ სკალოზუბს ვერა ვნახავდი?

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

მთლად გაგვაყრუა, რას ყვირის ნეტა?

მან ყველა საყვირს გადაამეტა!

გამოსვლა XII.

ი გ ი ნ ი ვ ე, ს კ ა ლ ო ზ უ ბ ი, შემდეგ მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

სერგეი სერგეიჩ! გგვიან მოხვდებით,
ჩვენ კი სულ გელით, გელით და გელით!
(სკალოზუბს მიიყვანს კნეინასთან).
ჩემი ცოლისდა, რომელსაც თქვენზე.
ყოველისფერი მე ჩაუკენჭე!
ხ ლ ი ს ტ ო ვ ა (ზის).
ღატკვენ წინათ აქა მსახურობდით... აი, იმ პოლკში...
გგრენადერების?
ს კ ა ლ ო ზ უ ბ ი (ბოხი ხმით).
გსურთ, ბრძანოთ: მათი უმაღლესობის.
ნოვო-ზემლიანსკის მუშაკეტერების?
ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.
მე არ გახლავართ პოლკების მცნობი!
ს კ ა ლ ო ზ უ ბ ი.
იმათ ფორმა აქვთ გამოსაცნობი:
საღულეები, საბეჭურები.
და მუნდირები ოქროწნულები!
ფ ა მ უ ს ო ვ ი.
აბა, წავედით... თავადო, თქვენც! იქ ბევრს გაცინებთ,
როცა გაჩვენებთ,
რა სასაცილოა ვისტი აქვს ჩვენებაში!
(სკალოზუბი და თავადი მიჰყავს თავისთან).
ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა (სოფიას).
უჰ! სახჩობელას დავაღწიე მე თავი თითქოს!
ამ მამაშენს ხომ ჭკუა აკლია:
მოჰყავს და მაცნობს მაგ ცხრაადლიან.
ვიღაცა რაინდს და მსურს თუ არ მსურს __.
სულ არა ფიქრობს!

მ ო ლ ჩ ა ნ ი ლ ი.

(ხლიოსტოვას აწვდის სათამაშო ქაღალდს).

თქვენთვის პარტია შევადგინე... თქვენთან დავსხდებით.

მსეი კოკი; ფომა ფომჩი და მე განლდებით!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

მადლობელი ვარ, ჩემო კარგო! (ადგება).

მ ო ლ ჩ ა ნ ი ლ ი.

რა მშვენიერი გოშია გყავთ. ღა ერთი ბეწო!

სულ ხელს ვუსვამდი, მთლად აბრეშუმს მიუგავს ბეწვი!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

მადლობელი ვარ, მეგობარო!

(გადის. მიჰყვებიან მოლჩალინი და სხვები).

გამოსვლა XIII.

ჩაცკი სოფია და რამდენიმე გარეშე სტუმარი,

რომელნიც აღნიშნულ სცენის დროს თავიდან გადიან,

ჩ ა ც კ ი.

Aჰა, ღრუბლები გადაფანტა იმან მაშინვე.

ს ო ფ ი ა.

არ შეიძლება, რომ არ გენაგრძოთ?

ჩ ა ც კ ი.

რით შეგაშინათ?

მისთვის, რომ სტუმარს მან დაუცხრო გული სრულებით,

მსურდა შემექო.

ს ო ფ ი ა.

ქებას კი გესლით დაასრულებდით!

ჩ ა ც კ ი.

გინდათ Y იცოდეთ რას ვფიქრობდი? ინებეთ: ყველა.

მოხუცი ქალის ანჩხლი არის და სწორედ დიდად.

საჭიროა აქ მეხამრიდად.

ასე ცნობილი და მორჩილი მსახურის ყოლა.

მ ო ლ ჩ ა ნ ი ლ ი.

სხვა ვინ შეძლებს ესე ადვილად.

მოაწყოს ასაქმე მშვიდად და ტკბილად!

იქ მის გომიას ხელს გადაუსვამს, მზად არის აქოს,

იქ თავის დროზე გაუშლის ბანქოს.

მის ხელში მუდამ ზოგორეცვი ცოცხლობს და საქმობს!

წელან თქვენ მისი ჩამოთვალეთ ბევრი ღირსება,

მაგრამ ბევრი კი დაგავიწყდათ, ხომ?

(გადის).

გამოსვლა XIV.

ს ო ფ ი ა, შემდეგ ბ ა ტ ო ნ ი ნ.

ს ო ფ ი ა (თავისთვის).

ღმერთო, ეს კაცი.

ყოველთვის ჩემი გაბრაზების მიზეზი ხდება!

ყველას ამცირებს, ჩხვლეს, ავია, მავნე და მკაცრი!

ბ-ნ ი ნ.

(მიდის სოფიასთან) ფიქრებში გართულხართ!

ს ო ფ ი ა.

ჩაცკიზე ვფიქრობ.

ბ-ნ ი ნ.

მოგზაურობის შემდეგ რას ატყობთ?

ს ო ფ ი ა.

თავის კუაზე არ უნდა იყოს!

ბ-ნ ი ნ.

ნუთუ გაგიჟდა?

ს ო ფ ი ა.

(დუმბილის შემდეგ) არცთუ სრულიად.

ბ-ნ ი ნ.

რამე ნიშნები ეტყობა თითქოს?

ს ო ფ ი ა.

(თვალგამტერებით უყურებს) ასე მგონია...

ბ-ნ ი ნ.

როგორ იქნება, მაგის წლებში გამიგონია?

ს ო ფ ი ა.

როგორ მოვიქცე?

(იქით) ეს მზად არის, რომ დაიჯეროს!

ა-ა! აი, ბატონო ჩაცვი!

თქვენთან ხომ სუყველას გამასხრებით მუდამ თავს იქცევთ,

არა გნებავთ თქვენც შეიფეროთ?

(გადის).

გამოსვლა XV.

ბ-ნ ი ნ. შემდეგ ბ-ნ ი ნ. დ.

ბ-ნ ი ნ.

გაგიჟდა... აი, სერი! ეგ ასე ჰგონებს და,

ალბათ, ასეა, ტყუილს ხომ არ მოიგონებდა?

არ გაგიგია?

ბ-ნი დ.

რა?

ბ-ნი ნ.

ჩაცვის ამბავი?

ბ-ნი დ.

რა ამბავი?

ბ-ნი ნ.

გაგიჟებულა!

ბ-ნი დ.

ეგ ტყუილია!

ბ-ნი ნ.

მე კი არ ვამბობ, ყველამ იცის, ვინც აქ არიან!

ბ-ნი დ.

სხვამ თქვა და მაგის გავრცელება შენც გინჯიან?

ბ-ნი ნ.

წავალ, ვიკითხავ! ალბათ, ვინმეს ეცოდინება!

(გადის).

გამოსვლა XVI.

ი გ ი ვ ე, შემდეგ ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ბ-ნი ნ.

ერწმუნე ამ ყბედს: გაიგონებს ჭორს და გინებას.

და რომავს, არც კი დაფიქრებულა!

შენ იცი ჩაცვის რა მოსვლია?

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

რა?

ბ-ნი დ.

გაგიჟებულა!

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ჰო, ვიცი, მანსოვს, მე მიაბებს!

როგორ არ ვიცი, საოცარი შემთხვევა მოხდა:

ის საგიჟეთში თვის ცრუ ბიძის წყალობით მოხვდა,

სტაცეს ხელი და ყვითელ სახლში ჯაჭვით დააბეს!

ბ-ნი დ.

რას ამბობ? ახლა აქ იყო ის, ოთახში, ჩვენთან!

ჰო? ჩანს ჯაჭვიდან აუშვეს კიდევაც!

ბ-ნი დ.

შენს გადამკიდეს.

არ დასჭირდება გაზეთის კითხვა!

წავალ, ფრთებს გავშლი, ყველასა ვკითხავ,

მაგრამ, ვაითუ, მალავენ სხვებთან!

(გადის).

გამოსვლა XVII.

ზ ა გ ო რ ე ც კ ი, შემდეგ გ რ ა ფ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ნეტავ. აქ ჩაცკი რომელი არი?

რალაც მეცნობა იმისი გვარი.

ვიღაცა ჩაცკის მეც ერთ დროს ვცნობდი.

გაიგეთ რამე?

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

ვისზე?

ჩაცკიზე.

ჩაცკის არ იცნობთ? წელან აქ იჯდა!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

დიახ, მეც მასთან ვლაპარაკობდი.

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

მაშ, მომილოცავს, ის შეშლილია!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

რაო? როგორ თქვით?

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

დიახ, გაგიჟდა!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

წარმოგიდგენიათ, მეც შევატყვე ეგად ა სწორედ.

რასაც ვფიქრობდი, მაგ სიტყვებით დამიდასტურეთ!

გამოსვლა XVIII.

ი გ ი ნ ი ვ ე და გ რ ა ფ ი ნ ი ა ბ ე ბ ი ა.

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

აჰ! გრანდ მამან! აგაი, კიდეც საკვირველება!

აი, ახალი ამბავი! თქვენ არ გაგიგიათ.

აქაური უბედურება?

ჩინებულია, შვენიერება!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

ახ, ჩემო კარგო, მე ყურებში ბამბა მიგია,

ხმამალა თქვი, არ მეყურება!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

არა მცალია! (ზაგორეცკიზე მიუთითებს).

ილ ყოუს დირა ტოუტე ლ ჰისტორიე.

წავალ, ვიკითხავ! (გარბის).

გამოსვლა XIX.

ზ ა გ ო რ ე ც კ ი და გ რ ა ფ ი ნ ი ა. ბ ე ბ ი ა.

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

რაო? რაო? აქ ხანძარიო?

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

არა, ეს ჩაცკიმ ჩაგვაყენა ჩვენ ამ სიცხეში!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

როგორ? რა თქვი? ვინ წაიყვანა ჩაცკი ციხეში?

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ის დაჭრეს შუბლში. ჭრილობისგან გამოსულელდა.

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

ფარმაზომებთან დადის კლუბში? გამუსლმანდა?

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ამას ვერაფერს შეასმენ მგონი!

(გადის).

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

ახ, ესეც გარბის! ყველა სრულიად.

აქ შიშისგან რეტდასხმულია!

გამოსვლა XX.

გ რ ა ფ ი ნ ი ა ბ ე ბ ი ა თ ა ვ ა დ ი ტ უ გ ო ხ ო ვ ს კ ი.

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

თავადო, აქეთ! ახ ეს თავადიც,

ბალებში დადის.

და ძლივს კი სუნთქავს, საცოდავად!

გითხრეს, თავადო?

თ ა ვ ა დ ი.

ა-ხმ!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

არა ესმის რა!

იქნებ თვალი მაინც მოჰკარით.

პოლიციისტერს, აქ იყო განა?

თ ა ვ ა დ ი.

ე-ხმ!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

ჩაცკი ციხეში ვინ წაიყვანა?

თ ა ვ ა დ ი.

ი-ხმ!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

ხალშუბა მაგას, სალდათის ჩანთა!

ხუმრობა არის? რჯულს უღალატა!

თ ა ვ ა დ ი.

უ-ნმ!

გრაფ. ბ ე ბ ი ა.

დიახ, გათათრდა, გამუსლიმანდა,___.

ახ, ეს წყეული ვოლტერიანელი!

რაო? ა? ყრუ ხართ? ადამიანო,

მაშ მაგ სასმენ მილს ნუ მოიშორებთ,

სიყრუე დიდი მანკია სწორედ!

გამოსვლა XXI.

იგინივე ხლიოსტოვა, სოფია, მოლჩალინი, პლა-

თონ მიხაილიჩი, ნატალია დმიტრევნა, გრაფი-

ნია შვილიშვილი, კნეინა თავისი ქალიშვილებით,

ზაგორეცკი, სკალოზუბი, შემდეგ გამუსოვი დას სხვ.

ხ ლ ი ს ტ ო ვ ა.

გაგიჟებულა, შეშლილა ხელად,

ასე უცებ და მოულოდნელად!

შოფია, შენ არ გაიგონია?

პ ლ ა ტ ო ნ მიხ.

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ.

ახ! ჩემო კარგო, ვინა და ყველამ!

პ ლ ა ტ ო ნ მიხ.

თუ ყველა ამბობს, მაშინ, ცხადია,

შენ ეს გწადია თუ არ გწადია,

უნდა ირწმუნო. მე კი მაეჭვებს!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

(შემოდის).

რაო, ჩაცკიზე ხო მარ ბრძანეთ, რაა საეჭვო?

მე, ეგ პირველად მე შევნიშნე და ეს მიკვირდა,

რომ არ გათოკეს დღევანდლამდე. შცადე და გინდაც.

მთავრობაზე თქვი, ღმერთმა უწყის რასა რ ჩმახავს!

ან უფროსს თავი დაუკარი, მოხრილს თუ გნახავს,

თუნდ მეფის თვალწინ__მუდამ მზადაა,

გიწოდოს ფლიდი ან არამზადა!..

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

გზად იქით აქვს, დამცინავია:

რაღაცა ვთქვი და ხარხარი წასკდა!

მ ო ლ ჩ ა ლ ი ნ ი.

მე არქივიდან მომთხოვა წასვლა,

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

მე მოდისტკობა შემწამა ნათლად!

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ.

ჩვენ კი__სოფელში წასვლა გვირჩია!

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

ყოველისფრიდან ჩანს, რომ გიყია!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

მეც ეგ თვალეზე შევატყვე მასა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

რა საჭიროა მიზეზის ძებნა?

დედას ჰგავს__ანა ალექსევნას:

რვაჯერ გაგიჟდა განსვენებული!

ქვეყნად საოცრად ახირებული.

და საოცარი ამბები ხდება:

მის ხანში მყოფი უცებ გაგიჟდება!

ალბათ, ლოთობდა.

კ ნ ე ნ ა.

დანამდვილებით ვიცი მე ეგა.

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

დიახ სავსებით!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

შამპანიურს დიდი ჭიქით წრუპავდა!

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ.

ვეებერთელა ბოთლებს სვამდა!

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

(გატაცებით) არა, კასრებით:

ორმოცვედრიან კასრს ხუნავდა!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

დიდი ცოდვაა, თუ მამაკაცმა.

ზომაზე ცოტა მეტი დალია!

სწავლა__აი, მაგ ჭირის ბუდე! შწავლის ბრალია,

რომ უფრო მეტად გამრალდა ახლა.

შეშლილი ხალხი__ თავის გიჟურ საქმით და აზრით.

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

მართლაც, პირდაპირ შეშლილები არიან მარტო ამდენი.

პანსიონების, ლიცეებით, სკოლით და თქვენი,

აი, იმ რაღაც ლანკარტული ერთურთის აღზრდით!

კ ნ ე ნ ა.

არა, პეტერბურგს ინსტიტუტე თურმე გვქონია,___.

პე-და-გო-იურს ეძახიან სახელს, მგონია,

და იცით, საქმეს ვინ განაგებს?

იქ მწვალელობას და რჟულის გმობას უქადაგებენ.

პროფესორები! იქ სწავლობდა ჩემი დისწული,

თავად ფედორ, დაასრულა და გამოვიდა,

მაგრამ ბრძანეთ, რა გამოვიდა?

ჩინი არა სწამს, ქალებს უფრთხის, მეც კი მიკრძალვის,

სწორედ მებრავლის!

თუნდა აფთიაქში დასვით, თითქოს მცოდნე იყოსო,

ვითომ ქიმიკოს-ბოტანიკოსობს!

ს კ ა ლ ო ზ უ ბ ი.

უნდა გახაროთ: ხმები დადის, რომ.

თურმე ახალი გეგმები დგება.

ლიცეებსა და გიმნაზიებში.

„რაზ-დვას სწავლა შემოიღება,___.

ხოლო წიგნები, ისე, საერთო.

შემთხვევისთვის შეინახება!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

სერგეი სერგეიჩ, ასე კი არა,

თუ ბოროტება გვინდა რომ მოვსპოთ,

მე მხოლოდ იმის მომხრე ვიქნები:

მთელ ქვეყანაზე ერთად შევკრიბოთ.

და ცეცხლში დავწვათ ყველა წიგნები!

ზ ა გ ო რ ე ც კ ი.

(მოკრძალებულად) არა, წიგნები ხომ წიგნს გააჩნია!

და ჩვენ შორის თუ ვილაპარაკებ,

მე რომ ცენზორი ვიყო, მაშინვე.

დავერეოდი იგავ-არაკებს.

იგავი___ ჩემთვის სიკვდილი არი:

მუდამ ლომების და არწივების.

დაცინვა გახლავთ მათი საგანი,

ვინც რა უნდა თქვას და მე კი ვფიქრობ,

რომ თუმც მხეცებზე ლაპარაკობენ,

მაგრამ მეფეა ყველა მათგანი:

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

თუკი ჭკუაზე შეცდა ვინმე, საკმარისია,

სულ ერთი არის, ეს წიგნებს თუ სმას დაბრალებდა;

მაგრამ ეს ჩეცვი მე მებრალებდა,

ვიცი ქრისტიანი, მაინც სიბრალეულის ღირსია...

ენამახვილი კაცი იყო, სამასი სული ყმის პატრონი.

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ოთხასი სულის...

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

სამასისა, ბატონო ჩემო!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ოთხასის-მეთქი...

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

არა! სამასის!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

ჩემს კალენდარში სწერია!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

კალენდრები მუდამ სტყუიან!

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

სწორედ ოთხასი სულ ყოფილა!

თანაც კამათობს უკმაყოფილოდ!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

არა, სამასი! მზე ვიცი, ვის რამდენი ჰყავს?

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

გთხოვთ შეისმინოთ, ისა ფლობდა სრულ ოთხას სულ.

ყმას!

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

არა, სამასს, სამასს, სამასსა!

გამოსვლა XXII.

ი გ ი ნ ი ვ ე ღ ა ჩ ა ც კ ი.

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ .

აი, ისაცა!

გ რ ა ფ . შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი .

სს!

ყ ვ ე ლ ა ნ ი .

სსს!

(გარბიან მისგან მოპირდავირე მზარისკენ).

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა .

რა გვეშველაბა, ახლა გიჟურად.

რომ დაგვერიოს ჩხუბით და ბოდვით?

ფ ა მ უ ს ო ვ ი .

ჰოი, უფალო, შეგვიწყალო, მოგვხედე ცოდვილთ!

(შიშით).

ჩემო ძვირფასო მეგობრებო! კარგად არ ჩანხარ!

ძილი გჭირდება, მაჯა მომეც... შენც ავადა ხარ!

ჩ ა ც კ ი .

ღიახ, დავსუსტდი! მილიონი ტანჯვა მაწუნებს.

გულზე მეგობრულ მძიმე მარწუნებს.

ვგრძნობ და ფეხები ცვდება ფრატუნით!

ყურები მტკივა განცვიფრების ხმების სმენისაგან,

უფრო მეტად კი_თავი, ამდენ სისულელისგან!

(სოფიასთან მივა).

აქ სული რაღაც მძიმე სევდამ შეხუთა ჩემი,

და ამდენ ხალხშიც სულ მარტო ვარ, ვეღარ.

ვცნობ თავსა!

არა! მოსკოვით კმაყოფილი მე ვერა ვრჩები....

ხ ლ ი ო ს ტ ო ვ ა.

ხედავთ, ყველაში მოსკოვს სდებს ბრალსა!...

ფ ა მ უ ს ო ვ ი.

(სოფიას თვალთ ანიშნებს, მოშორდი ცოტათ).

ჰმ! არც მიყურებს!

ს ო ფ ი ა.

(ჩაცკის) თქვით, რად ხართ ასე აღშფოთებული?

ჩ ა ც კ ი.

ა, იმ ოთანში უმნიშვნელო შეხვედრის გამო:

ვიდაც ბორდოელ პატარა ფრანგს თავის გარშემო.

შემოეკრიბა მთელი მოდგმა ქალიშვილების.

და უამბობდა გულაჩვილებით,

თუ აქეთ როგორ მოდიოდა ჩვენთან, რუსებში,

ცრემლით და შიშით, ეგონა, რომ ბარბაროსებში.

ჩავარდებოდა. მოვიდა და დარწმუნდა მალე,

რომ ბოლო არ აქვს მისდამი აღერსს:

ერთი რუსული სიტყვა არსად გაუგონია,

ერთ რუსულ სახეს ვერსად ხედავს: ასე ჰგონია,

სამშობლოშია, პროვინციელ მეგობართ შორის,

აქ ის პატარა მეფედა გრძნობს თავს, სხვათა შორის!

ქალებს იგივე აზრები აქვთ, რაც მათში არის,

ჩაცმულებიც ისე არიან!

მას ეს ახარებს, მაგრამ ჩვენ კი_არ გვიხარია!

ის გაჩუმდა, როცა თქვა ესა,

და ყოველ მხრიდან შემოესმა ოხვრა და კვნესა;

ახ! საფრანგათი: ვერსად ნახავ მხარეს უკეთესს,

ორმა კნიანჟამ, ორივე დამ წარმოთქვა მაშინ.
იმ ბავშვობის გაკვეთილიდან,
რაც მათ ზეპირად უსწავლიათ ყმაწვილობაში.
ახ, სად წაუხვალთ ამ კნიანჟებსა?
მე გუნებაში, გასაგონად შევთხოვდი ღმერთსა,
აღმოვხვრას ჩვენში ამ ბინძური, მონური და ბრმა.
მიმბაძველობის მახინჯი სული.
და ვისმეს ცეცხლით აუნთოს გული,
ვინც თავის სიტყვით, მაგალითით და სისადავით.
შეგვაკავებდა, როგორც სადავით,
უცხო მხარეზე უბადრუკი ოცნებისაგან!
დაე, მომნათლონ ძველის მიმდევრად,
მაგრამ ასწილად და უფრო ბევრად.
წახდა ჩემს თვალში ჩვენი ქვეყანა.
მას შემდეგ, როცა მან თავისი სხვას ანაცვლა.
და ყველაფერი ცუდ ახალზე გადაუცვალა:
ზნეობაც, ენაც, წინაპართა წმინდა წარსულიც,
თვით დიდებული ტანსაცმელიც გაცვალა სრულად.
და შეიმოსა ტაკიმასხრულად.
უკან კუდი აქვთ უცნაური, წინ_ღია გული,

რაც არც გონსა და არც ბუნებას არ ეთანხმება!
ვეღარ იძვრიან, იერ-ფერი მთლად მოჰკლებიათ,
თმაჭაღარანი, გაპარსულნი, თხელნიკაპები!
და, როგორც თვითონ ტანსაცმელი, თმა და კაბები,
ისე ჰკუაც დამოკლებიათ!
ეჰ, თუ იმიტომ გავჩენილვართ, რომ ყველაფერი.
სხვისაგან უნდა გადმოვიღოთ, ჩინელებს სახმარ-საფერი.
მაინც.

მივბაძოთ მცირედ, იმათს ბრძნულ ჩვევას_.

უცხოელთათვის ზურგის შექცევას.

ამ უცხო მოდებს ტყვეობიდან დავაღწევთ კი თავს,

რომ ჩვენს ჭკვიან და ყოველთვის მხნე ჩვენს.

საყვარელ ხალხს,

თუნდ ენით მაინც არ ვეგონოთ გადამთიელი?

„აბა, ევროპულს ეროვნული რით შეგუფერდოთ:

ვთქვათ, მადამი და მადმუაზელი როგორა ვთარგმნოთ?

ნუთუ ქალბატონს ვიტყვით? რაღაც უცნაურია!".

ასე მომმართა იქ ვიღაცამ.

და ჩემ მიმართაც.

გადაიხარხარეს უცებ იმათა:

„ქალბატონო, ხა, ხა, ხა, ხა, მშვენიერია!

ქალბატონო, ხა, ხა, ხა, ხა საშინელია!".

მე გულმოსული, ბედის წყევლით, რაც მქონდა ძალა.

მრისხანე პასუხს ვუმზადებდი, მაგრამ სუყველა.

შემომეცალა!

აი შემთხვევა! ეს ახალი როდია ჩვენში:

მთელს მოსკოვსა და პეტერბურგში, გინდ მთელს.

რუსეთში.

ასეა ხოლმე, რომ ბორდოდან ჩამოთრეულ ფრანგს.

თუ რამ წამოსცდა, მას ემხრობა ყველა კნიაჟნა!

მოსკოვშიაც და პეტერბურგშიაც!

ვინ არის ჩვენში ვინც მტრად ხვდება და თაყვანს.

არ სცემს.

უცხოეთიდან გამოწერილ პატარა კაცებს,

ღვლარჭნილა სიტყვებს რომ მანჭავენ მუდამ ყბედურად?

ვის ნახავთ, ვისაც, მართლაც, თავის.

საუბედუროდ,

ხუთი თუ ექვსი საღი აზრი აღმოაჩნდება.

და გაბედავს და მით საჯაროდ გამართავს კამათს...

შეხედე ამათ!

(მიმოიხედავს, ყველანი უდიდესი გულმოდგინებით ცეკვავენ ვალსს,

მოხუცი მამაკაცები მაგიდებს მისხდომიან და ბანქოს თამაშობენ).

მესამე მოქმედების დასასრული.

მოქმედება მეოთხე.

ფამუსოვის სახლის საპარადო ტალანები: დიდი კიბე_მეორე.

სადგომიდან, რომელსაც მრავალი დამხმარე გასასვლელი ეკვრის.

დაბლა, მოქმედ პირთაგან მარჯვნივ, პარმალზე გასასვლელი და.

შვეიცრის ბინა. მარცხნივმის პირდაპირ, მოლჩალინის ოთახი.

მოჩანს. ღამეა, მკრთალ სინათლეში ლაქიები უცდიან თავიანთი.

ბატონების გამოცვლას, ზოგი ფუსფუსებს, ზოგს_ჩასძინებია.

გამოსვლა პირველი.

გ რ ა ფ ი ნ ი ა ბ ე ბ ი ა დ ა გ რ ა ფ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი. წინ.

ლ ა ქ ი ა მიუძღვის.

ლ ა ქ ი ა.

გრაფინია ზრიუმინას კარეტა!

გ რ ა ფ. შ ვ ი ლ ი შ ვ ი ლ ი.

(ვიდრე აცმევენ და ფუთნიან მას).

ესეც ბალი და ფამუსოვი! ესეც სტუმრები!..

რას ჰგვანან ნეტა!

მოუწვევია მახინჯები საიქიოდან:

ვერ იცეკვებ და ვერც ვერავის ესაუბრები!..

გ რ ა ფ . ბ ე ბ ი ა .

წავიდეთ შვილო , სწორე გითხრა _აღარ მაქვს ძალი_.

ერთხელც იქნება საფლავს ჩამდებს ეგ თქვენი ბალი!

(ორივენი გადიან).

გამოსვლა II.

პ ლ ა ტ ო ნ მ ი ხ ა ი ლ ო ვ ი ჩ ი დ ა ნ ა ტ ა ლ ი ა .

დ მ ი ტ რ ე ვ ნ ა . ერთი ლაქია მათ ირგვლივ ფუსფუსებს, მეორე.

_გასძახებს შემოსასვლელის კარებიდან:

გორიჩის კარეტ,

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ ე ვ ნ ა .

ჩემო სიცოცხლე, ანგელოზო, ჩემო მშვენებავ,

ჩემო სულიკო რა მოგსვლია, რას დაღვრემილხარ?

(კოცნის ქმარს შუბლზე).

ხომ მხიარული ბალი იყო? გულახდით მითხარ?

პ ლ ა ტ ო ნ მ ი ხ .

ნატაშა, ჩემო კარგო, შენ ხომ მოგეხსენება,

რომ მე ბალებზე მხოლოდ ვთლემ და ჭირივითა მძულს.

ისინი, მაგრამ უარის თქმა, შენს ერთგულს მაინც,

არ შემეძლია: გიცდი, ღამეს გითევ და ხშირად.

შენს საამებლად, თუნდ არ ვიყო მე გუნებაზე!

ნ ა ტ ა ლ ი ა დ მ ი ტ რ .

თავს იკატუნებ! ეგ წუწუნი არა ღირს ჩირად!_.

ძალიან კი გსურს, რომ მოხუცად გვაჩვენო თავი!

(გადის ლაქიასთან ერთად).

პ ლ ა ტ ო ნ მიხ.

ბალი ღიახაც კარგი არი ვინ ჩათვლის ჭირად.

მაგრამ მწარეა ეს მონობა სულმემხუთავ!

მაინც ვინ გვატანს ძალას ძალით ცოლის შერთვისას?

ენ, რა მძიმეა ბედისწერა ზოგიერთისა!

ლ ა ქ ი ა (პარმალიდან).

ბრძანეს რომ დროა!

კარირეტაში ზის ქალბატონი და ჯავრობს თქვენზე.

პ ლ ა ტ ო ნ მიხ. (ამოიოხრებს).

მოვალ, ენ, მოვალ!

(მიდის).

გამოსვლა III.

ჩ ა ც კ ი.

აბა, გასძახე რომ კარეტა მომგვარონ ჩქარა!

(ლაქია გადის).

გავიდავ ეს დღეც და მასთანვე კვამლივით გაქრა.

ტკბილ იმედების მოჩვენება, ოცნება, ნატვრა,

რომლებიც მე სულს მივსებდნენ მტკბარად!

რას მოველოდი? აქ რის პოვნას ვფიქრობდი?

სად არის სიტკბო შეხვედრების? ვინ თანამიგრძო.

ცრუ აღტაცების ხმებში გულმა სითბო სად იგრძნო.

ასეა ხოლმე თვითონ ეტლში შორეულ გზაზე:

უქმად მჯდომარე_თვალუწვდენელ ვაკეს გასცქერი.

და სულ რაღაცა მიმზიდველი მოჩანს შენ წინა:

ლაჟვარდნათელი, მოციმციმე და მრავალფერი.

კამარა ბრწყინავს!

მიდიხარ ასე, საათს, მთელ დღეს, და, ბოლოს, როცა.

მიალწევ ღამის გასათევებს, მიმოიხედავ.

და იმავე ცას ხედავ, იგივე ველები მოცანს,

იგივე მკვდრული სიჩუმე და სიცარიელე.

დაგხვდება მკაცრი!

მწარე ნაღველი გიკლავს გულს და ძალას გინელებს.

რაც უფრო მეტად იფიქრებ კაცი!

(ლაქია ბრუნდება).

მზად არის?

ლ ა ქ ი ა.

არა, ვერ მონახეს მეეტლე თქვენი!

ჩ ა ც კ ი.

გასწი, მოძებნე, ღამეს აქ ხომ არ გავათენებ?

(ლაქია გადის).

გამოსვლა IV.

ჩაცკი და რეპეტილოვი. რეპეტილოვი პარმადიდან.

შემორბის, შემოსასვლელის კარებში მოსხლეტით დაეცემა,

სასწრაფოდ წამოდგება და ტანისამოსს ისწორებს.

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

თფუ! წავფორხილდი.. ღმერთო ჩემო! არა, მაცალე,

ერთი თვალეები მოვიფშვნიტო.. შენ გენაცვალე!

საიდან, ჩემო მეგობარო, მონ ცჰერ, ძვირფასო!
ახ, რომ იცოდე, ჩემ გარშემო რაებს ჩმახავენ:
სულელიაო, _იძახიან,_ბრიყვად მსახავენ,_
ცრუმორწმუნეა, წინათგრძნობის ნიშნების სწამსო!
აი, ახლაც კი, თვითონ ახსენ, თითქოს ვიცოდე:
გამოვეშურე, აქ კარის ზღრუბლს წამოვკარ ფეხი.
და გავიშხლართე მთელი ტანით და კისრისტეხით!
რა ვქნა, დამცინე, რომ ვტყუივარ, მუდამ ვიწვოდი.
მე შენი ნახვის სურვილითა, რაღაცნაირი.
მისწრაფება მაქვს შენკენ ასე,
და მზად ვარ გუილთ გითავდებო, რომ ჩემნაირი.
არ გეყოლება მეგობარი მთელ ქვეყანაზე!
ღმერთმანი, მართალს გეუბნები,_ვიცრუებ განა?
დაე, ცოლ_შვილი ამომიწყდეს_თუ ჩემი სიტყვა.
ტყუილი იყოს! აქვე მოგკვდე, მთელი ქვეყანა.
მკიცხავდეს და თან ზეცის რისხვა.
მღევდეს ყველგანა.

ჩ ა ც კ ი.

კმარა ამდენი სისულელის როშვა, გეყოფა!

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

ეს ბუნებრივი საქმე არის: შენ არ გიყვარვარ!
სხვებთან რა მიშავს? სხვებთან თავი გამომეყოფა,_
შენთან კი ბრიყვი, საბრალო და სულელი ვჩანვარ.

ჩ ა ც კ ი.

რა უცნაურად იმცირებ თავს, რასა ჰგავს ესა?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

გამლანძღე... თვითვე ვიწყველი ჩემს გაჩენის Dდღესა,
როცა ვფიქრობ, თუ დროს როგორ უაზროდ ვთესავ..
მითხარ, რომელი საათია?

ჩ ა ც კ ი.

ძილის დრო განლავს!

და თუ აქ ბალში მობრძანებულხარ,
შეგიძლია შინ დაბრუნდე ახლა!

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

რა ბალი, ძმაო, მთელი ღამე_გათენებამდე.
ზრდილობის უღელს წამითაც კი ვერ დააღწევ თავსა.
ერთი წიგნია, არ წაგიკითხავს?

ჩ ა ც კ ი.

თვით წაგიკითხავს? ჩემ წინ დგება ეს ამოცანა.
რეპეტელოვი არა ხარ განა?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

თუნდაც ვანდალი დამიძახე, მე ეს სახელი.
დავიმსახურე: უჭკუო ხალხს ავყევი, მთელი.
ჩემი სიცოცხლე სულ ბალსა და სადილს ვბოდავდი,
საკუთარ შვილებს ვივიწყებდი, ცოლს ვატყუებდი,
ბანქოს თამაშში ვაგებდი და არ ვუყურებდი,
ვსვამდი, უძილოდ ვატარებდი დროს _კვირაობით,
სამ მოცეკვავე ქალს ერთბაშად მე ვჭირაობდი,
ყველაფერს ვგმობდი: კანონს, ნამუსს და რჯულს.
ვცოდავდი.

ჩ ა ც კ ი.

ყური დამიგდე: იცრუე და ზომა იცოდე!

სხვაც ბევრი ზნე გჭირს და რაღა ეგ დარდი გაწვალეხს.

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

მაშ მომილოცე, მე ჩკვიან ხალხს ვცდილობ ვიცნობდე!

მათთან ვარ ღამით და უაზროდ აღარ ვწანწალებ!

ჩ ა ც კ ი.

აი, ამაღამ, მაგალითად?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

ეს ერთი ღამე.

ანგარიში არ ჩაითვლება, სხვა მკითხე რამე_.

მკითხე_ს სად ვიყავ?

ჩ ა ც კ ი.

ამას მგონი მე თვითონ მივხვდე:

ალბათ, კლუბში თუ?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

ინგლისურ კლუბში,

გულახდილად რომ გამოგიტყდე:

ცხარე სხდომიდან წამოვედი!

გთხოვ, არ წამოგცდეს, არ დამრუპო, მე არ მოგიკვდე.

სიტყვა მივეცი_ ჩუმად ვიყო! მიეთმოეთი.

კი არ გეგონოს: შევადგინეთ წრე მეგობართა.

და საიდუმლო კრებებს ვმართავთ.

ხუთშაბათობით.. თან იმასაც გაცნობებ, რომა,

უაღრესად საიდუმლოა ეს კავშირი და მისი სხდომა!

ჩ ა ც კ ი.

ახ, ჩემო ძმაო, მე მაშინებს ყოფნა შენს ჯგუფში.

როგორ, კლუბშიო?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

სცორედ კლუბში, ინგლისურ კლუბში!

ჩ ა ც კ ი.

აი, სად უნდა სასტიკი და მკაცრი ზომები.

რომ კისრისტეხით იფრინონ ეგ თქვენი სხდომებიც.

თქვენი კავშირიც და საიდუმლოც!

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

შიშმა ტყუილად აგიტანა, ვფიცავ ჩემს გამჩენს:

ისე გავყვირილ, რომ ვერავინ ვერსა გაარჩევს!

მე თვითონ ხშირად, როცა ცხარე კამათს იწყებენ.

ნაფიც მსაჯულთა კმერაზე ან ბაირონზე.

და ამგვარ მაღალ მატერიებს არ ივიწყებენ,

პირსაც არ ვაღებ, ვუსმენ, განა სიტყვის მოქმელი ვარ?

ძალა არ შემწევს, ჩემო ძმაო, მე სულელი ვარ!

ახ, ალენხანდრე, სწორე გითხრა შენლა გვაკლიხარ!

ყური დამიგდე, ჩემო ძმაო, აქ ტყუილად ზიხარ:

პატივი დამდე, მანუგეშე, წამომყევი ახლა;

ხომ იცი, მონ ცჰერ, შორს არ არის, ზედ გზაზე გახლავს!

მერე რანაირ ხალხს გაგაცნობ... მე კი არ მგვანან:

იქ სულ რჩეული ახალგაზრდობის ნაღებნი გყვანან!

ჩ ა ც კ ი.

ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ... მე კი მივდივარ შინ და.

ამ შუალამითრად წამოგყვით? მე ძილი მინდა!

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

ე. კარგი ერთი, მოგინახავს სწორედ ძილის დრო!

ვის სძინავს ახლა? ჰა, გაბედე, რამ გაგიძნელა?

ჩვენ იქ.. ჩვენთან სულ გაბედული ხალხია ყველა,

რაც გინდა იყოს,

თორმეტიოდე ფიცხი კაცი იმდენს ვყვირით რომ.

იფიქრებ, თითქოს ასი ხმა იყოს!

ჩ ა ც კ ი.

რამ გაგაშმაგათ, ასე რატომ აურზაურობთ?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

ვხმაურობთ, ძმაო, ვხმაურობთ!

ჩ ა ც კ ი.

ხმაურობთ? და სხვა არაფერი?

რ ე პ ე ტ ი ლ ო ვ ი.

მე შესაფერი.

მოცლა არა მაქვს და ადგილიც სულ არ იძლევა.

საშუალებას_ აგინსნა აქ მე!

საქმე ეხება საქვეყნო საქმეს,

რომელიც ჯერ არ მომწიფებულა, _

აბა, უცებ ხომ არ შეიძლება?

სამაგიეროდ, რა ხალხი გყავს, მონ ცჰერ, მე შორი სურათი